# სკოლის მართვა

#2, 2021

## მარიამ ყაუხჩიშვილი

– ქართველი მარია მონტესორი

## სკოლების დაფინანსება

## დისტანციური სწავლების გამოწვევები – მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები

## პროექტებით სწავლების გავლენა მოსწავლეთა სოციალურ და აკადემიურ უნარებზე დაწყებით საფეხურზე

## eTWINNING-ის ევროპული პლატფორმა სკოლებისათვის

## მარიამ ყაუხჩიშვილი

**დღეისათვის ასე ცნობილი „კრიტიკული მეგობრის“ მეთოდი, რომელიც მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის წახალისებას ისახავს მიზნად, მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში აუცილებელ წესს წარმოადგენდა – სასწავლო გრაფიკი ისე დგებოდა, რომ თითოეულ მასწავლებელს კვირაში 2 დღე თავისუფალი უნდა ჰქონოდა, რათა ერთმანეთს დასწრებოდნენ, შემდეგ ერთმანეთის გაკვეთილებზე ემსჯელათ და ამ გზით გამოცდილება გაემდიდრებინათ.**

ISSN 1512-0279

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, წარმოვიდგენთ სახელმძღვანელოს – „თანამედროვე სკოლის მართვა“**

წიგნი აერთიანებს ლიდერობის თეორიებთან, სკოლის დისტანციურ მართვასთან, განათლებაში მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვასთან, სკოლაში ადამიანური რესურსების მართვასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება-დანერგვასთან, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვასთან, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებსთან, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფასთან, დემოკრატიული კულტურის განვითარებასთან და სკოლის ფინანსურ მართვასთან დაკავშირებულ საერთაშორისოდ აპრობირებულ თუ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას.

# სკოლის მართვა

#2, 2021

გამომცემელი – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი



**სარედაქციო კოლეგია**

ვერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მანანა რატიანი
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით ხვედელიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

მაია არაკიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო- საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

ნათელა გარაგაძე
პედაგოგიკის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის ხელმძღვანელი

დენის წურწუმია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი



მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

დიზაინერი:
გელა დანელია



საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: skolismartva@tpdc.ge



ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.



**ISSN 1512-0279**

**www.tpdc.ge**

ნათია ნაცვლიშვილი

## მთავარი რედაქტორის სვეტი

საინტერესოა, როგორი უნდა ყოფილიყო საუკუნისწინანდელი სკოლის დირექტორი, ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდა ქალი, ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა მეგობარი, რომელმაც თავის სკოლაში მასწავლებლად სულ ახალგაზრდა, პროგრესული იდეებით შეპყრობილი დიმიტრი უზნაძე მიიწვია და, მასთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად, სრულიად ახალი, განსხვავებული რეალობის შექმნა დაიწყო...

დიახ, ამ ნომერში მარიამ ყაუხჩიშვილს გაგაცნობთ, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართველი მარია მონტესორი. მისი დახმარებით, კიდევ ერთხელ და ერთად გავუსწოროთ თვალი არცთუ ისე შორეულ წარსულს და ერთად დავფიქრდეთ, რა იწვევს იმას, რომ საუკუნისწინანდელი საგანმანათლებლო მიზნები და აქტუალური საკითხები დღესაც უცვლელი და აქტუალურია...

წინამდებარე ნომერი რამდენიმე საკითხის შესახებ დაგაფიქრებთ – სკოლების დაფინანსების რა მოდელები არსებობს და ახდენს თუ არა გავლენას სკოლების დაფინანსების ესა თუ ის მოდელი განათლების ხარისხზე; გთავაზობთ კვლევას საქართველოში სკოლების დაფინანსების რამდენიმე საკითხის შესახებ.

სასწავლო წლის ბოლოს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდით დისტანციური სწავლების კვლევას და, განვლილი ურთულესი წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, გიზიარებთ რეკომენდაციებს სკოლის დირექტორებისათვის, როგორ გავუმკლავდეთ პანდემიით გამოწვეულ რეალობას.

მოცემული ნომრისთვისაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია სასკოლო პროექტების საკითხები - როგორ ვმართოთ სასკოლო პროექტები, რა გავლენას ახდენს, ჩვენი მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების აზრით, სასკოლო პროექტები მოსწავლეთა სოციალურ თუ აკადემიურ უნარებზე; გაგაცნობთ სასკოლო პროექტების ყველაზე მასშტაბურ ევროპულ პლატფორმას – eTwinning-ს და მასში გაწევრიანებისთვის საჭირო პროცედურებს, იმ იმედით, რომ საქართველოდან უფროდაუფრო მეტი სკოლა გამოთქვამს მზაობას, შეუერთდეს eTwinning-ის დიდ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს და უცხოელ კოლეგებთან ერთად მოიფიქროს და განახორციელოს სასკოლო პროექტები.

დაბოლოს – გილოცავთ ურთულესი სასწავლო წლის დასრულებას! ამ წელმა ბევრი რამ გვასწავლა ყველას, მაგრამ ალბათ ყველაზე მთავარი გაკვეთილი, რომელიც ვისწავლეთ, ისაა, რომ თითოეული ჩვენგანი იმაზე მეტ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ვიდრე აქამდე გვეგონა და რომ ამ გამარტივებული სოციალიზაციის საუკუნეშიც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი მაინც ადამიანია...

# შინაარსი

N2, 2021


პორტრეტი

3 ლელა მახოხაშვილი
მარიამ ყაუხჩიშვილი – ქართველი მარია მონტესორი

დირექტორის ბიბლიოთეკა

7 ერიკ ა. ჰანუშეკი
სკოლების დაფინანსება

კვლევა

13 გერიკა შუკაკიძე
სკოლების დაფინანსების რამდენიმე საკითხი საქართველოში

პოლიტიკური საკითხავი

17 განათლების სისტემის რეაგირება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ
კრიზისთან დაკავშირებით

კვლევა

27 მაია არავიაშვილი
დისტანციური სწავლების გამოწვევები – მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები

31 ნონა პოკიაშვილი
როგორ გავუგკლავდეთ COVID პანდემიის პირობებში შექმნილ რეალობას

კვლევა

35 სალომე ცხვედიანი
პროექტებით სწავლების გავლენა მოსწავლეთა სოციალურ და აკადემიურ უნარებზე დაწყებით საფეხურზე

სასკოლო პროექტები

40 ვურამ სულაქველიძე
პროექტის მართვა სკოლებში

შესაძლებლობები სკოლას

44 ხატია მატკავა
eTWINNING-ის ევროპული პლატფორმა სკოლებისათვის

სკოლა და კანონმდებლობა

50 დენის წურწუმია
ინტერესთა კონფლიქტი

სასკოლო პროექტები

53 სასკოლო პროექტი
„დედამიწის მცველები“

# მარიამ ყაუხჩიშვილი - ქართველი მარია მონტესორი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიურ წევრს, მარიამ ყაუხჩიშვილს, რომელმაც საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქუთაისში სრულიად განსხვავებული, თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული, სწავლების ლიბერალურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სკოლა შექმნა, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართველი მარია მონტესორი.

მარიამ ყაუხჩიშვილი 1866 წელს დაიბადა. 8 წლიანი პედაგოგიური განათლება ქუთაისში, წმინდა ნინოს სასწავლებელში მიიღო. სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამორჩეული მარიამი ჯერ ქუთაისის კათოლიკურ სამრევლო სკოლაში მიიწვიეს მასწავლებლად, ხოლო შემდეგ – იოსებ ოცხელის გიმნაზიაში განაგრძო სწავლება. მას მიზნად საკუთარი სკოლის გახსნა ჰქონდა დასახული, ამიტომ არ დასჯერდა აქ მიღებულ განათლებას და ჟენევის უნივერსიტეტში პედაგოგიური განათლების მისაღებად გაემგზავრა. იქიდან საფრანგეთში ჩავიდა, იქაური სკოლები და ბაღები შეისწავლა და უცხოური გამოცდილებით გამდიდრებული დაბრუნდა საქართველოში (მის ჩანაწერებში შეხვდებით ფრანგული სკოლებისა და ბაღების დეტალურ აღწერა-შეფასებას).

პესტალოცის მოსწავლის, ფრიდრიხ ფრებელის კონცეფციით მოხიბლულმა, თავდაპირველად საბავშვო ბაღი დააარსა, ხოლო შემდეგ კი – ქალთა კერძო სასწავლებელი, სადაც მოგვიანებით ჩვეულებრივ იღებდა ვაჟებსაც.

სკოლა უკიდურესად ჰუმანურ, ყველა ბავშვის სრულფასოვნად განვითარების მიდგომებს ეფუძნებოდა. სკოლის განვითარებაზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციური, პროგრესული იდეებით განმსჭვალული პედაგოგების მოზიდვით დაიწყო, რომელთა შორისაც იყო ახალგაზრდა დიმიტრი უზნაძეც.

სკოლა ღია იყო ყველა მოსწავლისთვის, იაფი გადასახადი კი განათლების მიღებას ღარიბი ახალგაზრდებისთვისაც ხელმისაწვდომს ხდიდა. ვისაც მცირე გადასახადის გადახდაც არ შეეძლო, სკოლა მას თავად უფინანსებდა სწავლას. „მოსწავლეთა დიდი ნაწილი დარჩებოდა უსწავლელი, ვერ ეზიარებოდა განათლების ცოცხალ სიტყვას, რომ მათთვის ჩემი სასწავლებლის კარები ღია არ ყოფილიყო," – სწერს მარიამი სახალხო განათლების უფროსს მოხსენების ბარათში 1909 წელს. შორი სოფლებიდან დილით სკოლაში მოსულ მოსწავლეებს ზამთარში ჯერ ღუმელთან დასვამდა, ჩაის დაალევინებდა და მერე უშვებდა გაკვეთილზე.

სკოლა დიდ ყურადღებას აქცევდა მშობლებთან ურთიერთობას – ყველა მშობელი ვალდებული იყო, თვეში ერთხელ

„პედსაბჭო სასურველად მიიჩნევს, ჩამორჩენილი ბავშვებისთვის მოეწყოს დამატებითი საღამოს სწავლება“

მაინც მისულიყო სკოლაში, ხოლო თუ ვერ ახერხებდა, თავად მარიამი სტუმრობდა ოჯახებს, შორ სოფლებშიც კი.

მარიამ ყაუხჩიშვილი მძაფრად განიცდიდა რუსიფიკატორულ რეჟიმს მაშინდელ სკოლებში, რომლის ნიადაგზეც თავადვე მიიღო განათლება წმ. ნინოს სასწავლებელში, სწორედ ამიტომ მან საფუძველშივე დაწყო სკოლაში „ქართული სულის“ დამკვიდრება, რაც ნიშნავდა, რომ, განსხვავებით სხვა სკოლებისგან, აქ სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, აგრეთვე, ეს იყო იმ დროისთვის ერთადერთი სასწავლებელი, სადაც საქართველოს ისტორია ისწავლებოდა.

სასწავლებელმა ნელ-ნელა მოიპოვა სახელი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მწერალმა ნინო ნაკაშიძემ თავისი ქალიშვილი თბილისიდან ქუთაისში მხოლოდ იმიტომ გადაიყვანა საცხოვრებლად, რომ მარიამ ყაუხჩიშვილის სასწავლებელი დაემთავრებინა.

ის სასწავლო მიზნები, რომელთაც მისდევდა სკოლა, 21-ე საუკუნეშიც მეტად აქტუალურია, მათ შორის — თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რაც მაშინდელი სისტემისთვის სრულიად უცხო იყო, განსაკუთრებით კი სწავლას ჩამორჩენილი მოსწავლეების ინდივიდუალური დახმარება: „პედსაბჭო სასურველად მიიჩნევს, ჩამორჩენილი ბავშვებისთვის მოეწყოს დამატებითი საღამოს სწავლება“ — ვკითხულობთ სკოლის ჩანაწერებში.

მაშინდელი მეფის მთავრობის სასწავლებლებისგან გიმნაზიას ნამდვილად გამოარჩევდა ინოვაციური სწავლების მეთოდები. სკოლა არ სცნობდა დასჯის მეთოდებს. პირიქით, აქ „ბევრმა გზააბნეულმა ახალგაზრდამ შეაფარა თავი და შემდეგში საზოგადოების ღირსეულ წევრად იქცა“ (ლილუაშვილი, 1973). მარიამ ყაუხჩიშვილმა ყოველგვარი მკაცრი სკოლის წესდების გარეშე მოახერხა მოსწავლეთა, მათ შორის, ურჩ მოსწავლეთა დისციპლინის საკითხების მართვა. მას სურდა მოსწავლეებში ოპტიმიზმის დანერგვა და ჯანსაღი თვისებების განვითარება. მიიჩნევდა, რომ ბავშის აღზრდა შეიძლება არა ჯოხით, არამედ დარწმუნებითა და შთა-

გონებით, ხოლო ბავშვის სკოლიდან გარიცხვა მისთვის პედსაბჭოს სისუსტესთან ასოცირდებოდა. „უნდა გამოვასწოროთ, არ უნდა მივცეთ ქუჩას, მისგან კარგი მოქალაქე უნდა გამოვიდეს“ – ვკითხულობთ მის ჩანაწერებში. გზააბნეული ბავშვის აღზრდას ყოველთვის თავად იღებდა საკუთარ თავზე და სწორედ ამგვარ ბავშვებზე ზრუნვა მიაჩნდა მას მთავარ ამოცანად, ალბათ ამიტომაც, მარიამ ყაუხჩიშვილის სასწავლებელს ზოგჯერ „გამოსასწორებელ სკოლასაც“ უწოდებდნენ. რაც შეეხება წარმატებულ და მოტივირებულ მოსწავლეებს, მათთან მოქმედებდა წახალისების მეთოდი, ჯილდოვდებოდნენ წიგნებით, ხშირ შემთხვევაში, მიჰყავდათ თეატრებში.

დღეისათვის ასე ცნობილი „კრიტიკული მეგობრის“ მეთოდი, რომელიც მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის წახალისებას ისახავს მიზნად, მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში აუცილებელ წესს წარმოადგენდა – სასწავლო გრაფიკი ისე დგებოდა, რომ თითოეულ მასწავლებელს კვირაში 2 დღე თავისუფალი უნდა ჰქონოდა, რათა ერთმანეთს დასწრებოდნენ, შემდეგ ერთმანეთის გაკვეთილების შესახებ ემსჯელათ და ამგზით გამოცდილება გაემდიდრებინათ.

მის სასწავლებელში შრომის სიყვარულის ჩანერგვა იყო ერთ-ერთი ამოსავალი მიზანი. აქ ფუნქციონირებდა სადურგლო და ჭრა-კერვის სახელოსნოები. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, განევითარებინათ შემოქმედებითი უნარები, თავად შეექმნათ ნივთები, ხოლო მოგვიანებით გამოეფინათ, გაეყიდათ და ჩართულიყვნენ საქველმოქმედო აქტივობაში ღარიბი თანატოლებისთვის. აღსანიშავია



დობას და დააწესა ღარიბთა უფასო სწავლება. 1909 წლის 21 ოქ-
ტომბერს ქუთაისის გუბერნიის სახალხო განათლების უფროსსა-
დმი მოხსენებით ბარათში მ. ყაუხჩიშვილი წერდა: „ჩემს სასწავ-
ლებელში მოსწავლეთა რიცხვის თანდათანობით მატება აშკარად
ლაპარაკობს იმ ნდობაზე, რომელსაც ქალაქისა და სოფლის საზო-
გადოება ჩემს სასწავლებელს უცხადებს. მოსწავლეთა ბიოგრაფი-
ული მონაცემები და ყოველწლიური სტატისტიკური წვრილმანი
ჩემი სასწავლებლის ცხოვრებიდან ცხადს ხდიან, რომ სასწავლებ-
ლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი დარჩებოდა უსწავლელი, ვერ ეზი-
არებოდა განათლების ცოცხალ სიტყვას, რომ მათთვის ჩემი სა-
სწავლებლის კარები ღია არ ყოფილიყო. 368 მოსწავლიდან 78
ღარიბი ბავშვი განთავისუფლებულია სწავლის ქირის გადასახადი-
დან, მათი სწავლის ქირის თანხა 1790 მანეთს შეადგენს“. აღნიშ-
ნული თანხა საკმაოდ დიდი იყო სკოლის ბიუჯეტისათვის, მაგრამ

ისიც, რომ მოსწავლეებს ეცვათ თავიანთი შეკერილი ტანსაცმელი.

სკოლა აქტიურად მართავდა საქველმოქმედო საღამოებს, შემოსული თანხით ღარიბ მოსწავლეთა გადასახადებს ფარავდა. გარდა ამისა, ეს სასწავლებელი იყო სილამაზის, ესთეტიკის, სიფაქიზის შეცნობისა და შეყვარების კერაც, რამდენადაც ხშირად იმართებოდა სპექტაკლები, მუსიკალური და პოეზიის საღამოები, იწვევდნენ ორკესტრს და უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. აქვე შესაძლებლობა ჰქონდათ, ესწავლათ მაგიდასთან ჯდომის წესები, საუბრისა და ქცევის მანერები. აქგამართულ საღამოებზე შეხვდებოდით ზაქარია ფალიაშვილს, ვანო სარაჯიშვილს, პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს და ა.შ. საქველმოქმედო საღამოებზე შემოწირული თანხით მარიამ ყაუხჩიშვილი არა მხოლოდ თავის მოსწავლეებს, არამედ სამუსიკო სასწავლებელსაც ეხმარებოდა. არქივში დაცულია მელიტონ ბალანჩივაძის წერილი, სადაც იგი მადლობას უხდის მარიამ ყაუხჩიშვილს სკოლას შეწირული 300 მანეთისთვის.

არაჩვეულებრივ შენობას, სადაც განთავსებული იყო სკოლა და სადაც თავადაც ცხოვრობდა (ამავე შენობაში აღესრულა 1939 წელს), ჰქონდა ულამაზესი ბაღი, სადაც სასწავლებლის დირექტორი, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად, უვლიდა მცენარეებს.

მარიამ ყაუხჩიშვილის აზრით, ბავშვის გონებრივი განვითარების ერთ-ერთი პირობა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა იყო, რაც ავითარებს დამოუკიდებლად მუშაობის, ანალიზის, კრიტიკის უნარებს. მან სკოლას შეუქმნა უდიდესი ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც საზღვარგარეთიდან იწერდა უნიკალურ წიგნებს. გარდა ამისა, რამდენადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თვალსაჩინოებებს, გერმანიიდან გამოიწერა ფიზიკის ლაბორატორია. რევოლუციამდე ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი, რომელიც აღჭურვილი იყო ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტით! ასევე, სკოლას ჰქონდა ზოოლოგიის კაბინეტი, თევზების აკვარიუმები და სპეციალურ ქოთნებში გამოყვანილი სხვადასხვა ჯიშის მცენარეები. სკოლას ჰქონდა ნიუარების უნიკალური კოლექცია, რომელიც, მოგვიანებით, მარიამ ყაუხჩიშვილმა საჩუქრად გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მარიამსაც მისწვდა კომუნისტური ხელი, რომელიც ყველაფერს განსხვავებულს ანგრევდა. სასწავლებელი მთავრობის ხელში გადავიდა, თუმცა მას დირექტორობა შეუნარჩუნდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა, მისი სკოლა ძველებურად მცირე ოჯახად დარჩენილიყო მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის და გულმოდგინედ ზრუნავდა ამ ოჯახის პატარა წევრების ღირსეულ და საპატიო ინდივიდად ჩამოყალიბებაზე.

მარიამ ყაუხჩიშვილი 1939 წელს გარდაიცვალა საკუთარი სკოლის კედლებში, იმ ადამიანების მომავალზე უანგაროდ ზრუნვაში, რომლებიც მისთვის ერთადერთ ოჯახს წარმოადგენდნენ. მისი სკოლის ჰუმანური მეთოდები მართლაც უჩვეულო იყო ჯერ კიდევ მეფის რუსეთისა, მოგვიანებით კი საბჭოთა პერიოდის სკოლებისთვის. ხოლო მის მიერ განვითარებული საგანმანათლებლო იდეები, ერთი საუკუნის შემდეგაც ღირებულია.

მოამზადა ლელა მახუხაშვილმა

* შენობაში, რომელშიც დაარსდა მარიამ ყაუხჩიშვილის სასწავლებელი და რომლის კედლებშიც აღესრულა, დღეს განთავსებულია კერძო სკოლა „ღონე ქვეყნისა“. სკოლას დიდ მადლობას ვუხდით მასალაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.

ერიკ ა. ჰანუშეკი

# სკოლების დაფინანსება

## შესავალი

მთელ მსოფლიოში სკოლებს, უმეტესწილად, აკონტროლებენ და მართავენ მთავრობები და სამთავრობო პოლიტიკა პირდაპირ აისახება აქ მიმდინარე პროცესების დიდ ნაწილზე. სკოლების დაფინანსებაზე ყურადღების გამახვილება ტრადიციულად ორი განსხვავებული პარამეტრის მიხედვით ხდება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საკითხმა იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ფულის შეგროვება სკოლებისთვის და როგორ ნაწილდება ის ადგილობრივ სკოლებზე. ეს საკითხი ბუნებრივად ერგება პოლიტიკურ დისკუსიებს, სადაც განიხილავენ: სად უნდა მოხდეს საზოგადოებრივი რესურსების ინვესტირება; რამდენი იხარჯება სკოლებზე. თუმცაღა, გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დისკუსიებში ახალი პარამეტრიც გაჩნდა, კერძოდ, როგორ უკავშირდება მოსწავლის აქტივობა სკოლის დაფინანსებას. ამ უკანასკნელმა დრამატულად შეცვალა სკოლების დაფინანსების შესახებ საუბრის შინაარსი. ასევე, ნათელი გახადა ისიც, რომ ფინანსებთან დაკავშირებული დისკუსია ვერ განცალკევდება უფრო ფართო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ დისკუსიისგან, ვინაიდან მნიშვნელოვანია ფინანსური წახალისების ინტეგრირება წარმატების მიღწევის მიზნით შემუშავებულ სხვა მიდგომებთან.

## კვლევის შედეგები

ახალი პარამეტრი – ფინანსების გავლენა – მოსწავლის შედეგებზე ფინანსების გავლენის შესახებ კვლევებს ეფუძნება. მიღებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ფინანსურ რესურსებსა და მიღწევებს შორის ურთიერთმიმართების ნათელ სურათს ასობით შეფასება წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის თანხვედრაში არ მოდის, კვლევების უმრავლესობით დადგინდა, რომ ხარჯების აბსოლუტური მაქსიმუმი ან ხარჯების ზრდაში სხვაობა მცირედით ან საერთოდაც არ განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებას (მაგ. Hanushek, 2003, 2006). ალბათ ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით იყო *განათლების შესაძლებლობის თანასწორობა* (Coleman და სხვ. 1966), „კოლმენის ანგარიში“. ეს ანგარიში იყო, ასევე, ერთ-ერთი პირველი მცდელობა სტატისტიკური ანალიზის გამოყენებისა მოსწავლეთა მიღწევების კვლევისას, რასაც დღეს „საგანმანათლებლო წარმოების ფუნქციებს“ უწოდებენ. 1964 წელს აშშ-ის კონგრესმა,

**» ფინანსებთან დაკავშირებული დისკუსია ვერ განცალკევდება უფრო ფართო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ დისკუსიისგან, ვინაიდან მნიშვნელოვანია ფინანსური წახალისების ინტეგრირება წარგატების მიღწევის მიზნით შემუშავებულ სხვა მიდგომებთან.**

ფერადკანიანთა და თეთრკანიანთა მიღწევებს შორის განსხვავების აღმოფხვრის ხანგრძლივი წარუმატებლობის მიზეზების შესაფასებლად, მასობრივი კვლევა დაა ფინანსა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სკოლათა რესურსების ვარიაციას მცირე ან საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონია მოსწავლეთა მიღწევების სხვაობასთან და რომ თითქმის ყველა ტესტის ქულათა სხვაობა უკავშირდება ფერადკანიანი და თეთრკანიანი მოქალაქეების სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს შორის არსებით განსხვავებას.

„კოლმენის ანგარიშის“ შედეგები ძალიან საკამათო იყო, თუმცა, 1966 წელს მისი გამოქვეყნების შემდეგ, უამრავმა დამატებითმა კვლევითმა მასალამ არაერთი თავდაპირველი დასკვნა დაადასტურა. კვლევებში განხილული იყო სასკოლო ხარჯები და მასთან დაკავშირებული რესურსები, როგორებიცაა, კლასის სიდიდე, მასწავლებლის გამოცდილება, მასწავლებლის განათლება, მასწავლებლის სიგელები და მოსწავლის წარმატებაზე მიმართული სხვა სასკოლო რესურსები და ყველაფერი ეს კი მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე თანმიმდევრული ან სისტემატური გავლენის წარმოჩენის გარეშე. მაგალითად, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით, მიღწევებთან განსაკუთრებულ კავშირს ვერ ხედავს კვლევათა თითქმის სამი მეოთხედი. ფაქტობრივად, თანაბარია კვლევათა რაოდენობა, რომელიც მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირზე - კვლევები, რომლებიც აჩვენებს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფით გავლენას მოსწავლის წარმატებაზე და, პირიქით (Hanushek, 2003, 2006); მიუხედავად ამისა, ამჟამად ცნობილმა STAR-ის კვლევამ ტენესიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის ექსპერიმენტული კვლევით, დაადგინა დადებითი გავლენა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებში (Word და სხვ., 1990). Tennessee STAR-ის კვლევა დაბალანსებულია არა მხოლოდ ასობით სხვა კვლევის შედეგებით, რომელიც საწინააღმდეგოს მიუთითებს, არამედ კალიფორნიისა და არაერთი სხვა ამერიკული შტატის იმედის გამაცრუებელი შედეგებითაც, რომელთაც დანერგეს პროგრამები კლასების სიდიდის შესამცირებლად მესამე და სხვა კლასებში (Ehrnberg, Brewer, Garoman & Williams, 2001). ანალოგიურად, არანაირი თანმიმდევრული კავშირი არ არსებობს მასწავლებლის განათლების დონესა და მოსწავლის მიღწევებს შორის (Hanushek & Rivkin, 2006). ამ თემაზე ჩატარებული კვლევების 10%-ზე ნაკლები მიიჩნევს, რომ მასწავლებლის განათლების მაღალი დონე მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის წარმატებაზე. სტატისტიკურად და ისტორიულადაც, ყველაზე მჭიდრო კავშირი მოსწავლის წარმატებასთან მასწავლების გამოცდილებას აქვს, თუმცა ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ გამოცდილების გავლენა მკაფიოა მხოლოდ სწავლების პირველ ორ წელიწადს.

ამ საკითხებს ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსების განხილვისას, რადგან გასული საუკუნის განმავლობაში, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებამ და მასწავლებელთა ხელფასების ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სკოლებში თითოეულ მოსწავლეზე რეალური დანახარჯის გაზრდაზე (Hanushek & Rivkin, 1997).

კლასების სიდიდის შემცირების პროგრამა დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ ის ალბათ ყველაზე ძვირადღირებულია სკოლის რეფორმის ყველა პროგრამას შორის და, კვლევების თანახმად, ნაკლებსავარაუდოა მისი ასოცირება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებასთან. ასევე, მასწავლებელთა ხელფასის მთავარი მსაზღვრელი – გამოცდილება და განათლების დონე – არ არის მუდმივ კავშირში მიღწევებთან; არც მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებაა მუდმივ ბმაში მოსწავლეთა წარმატებასთან. მასწავლებელს, რომელმაც შეძლო მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება, შესაძლოა, ჰქონდეს როგორც დაბალი, ისე მაღალი ანაზღაურება (Hanushek & Rivkin, 2004). გარდა ამისა, ვინაიდან ხელფასები სკოლის დანახარჯების ყველაზე დიდ კომპონენტს წარმოადგენს, სასწავლო ხარჯების ვარიაციებსაც მცირედი კავშირი აქვს მიღწევებთან.

ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა სკოლის დანახარჯების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტები და ხარჯების გაზრდის მომხრე პირები სწორედ ამ თეზისს ეყრდნობიან. და მაინც, ხარჯვის მიმართულების შესახებ კვლევებიდან საკმაოდ მცირეა ის ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა წარმატების ფაქტორად ხარჯების გაზრდას მიიჩნევს და, როგორც წესი, ეს ყველაზე დაბალი ხარისხის კვლევებია. აღნიშნული კვლევები არაპროპორციულად ეყრდნობა ერთიან სახელმწიფო მონაცემებს, სადაც რაიმე სახის განსხვავებათა მაჩვენებლების არარსებობამ სახელმწიფო პოლიტიკაში შესაძლოა გამოიწვიოს შეფასების ცვლილება ხარჯვის სხვაობათა შედეგებში (Hanushek, 2003). ასეთი შედეგები მხოლოდ შეერთებული შტატებისთვის არ არის დამახასიათებელი; Woessmann-ის მიმოხილვის მიხედვით, იგივე შედეგები გვხვდება სხვა ქვეყნებშიც (2007a). საკმაოდ თანმიმდევრული საერთაშორისო მიღწევების ტესტების შესრულების ანალიზი ცხადყოფს, რომ რესურსების გარდა, ბევრი სხვა რამეა მნიშვნელოვანი მოსწავლეთა წარმატებისთვის (Hanushek & Woessmann, 2011).

კვლევის სხვა მიმართულებამ, შედეგების მიხედვით, შეისწავლა-გაზომა მასწავლებლის ხარისხი, როგორც პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენის ფაქტორი მოსწავლის მიღწევებზე. რა თქმა უნდა, მასწავლებლის ხარისხის შეფასება ისეთი მახასიათებლების საფუძველზე, როგორებიცაა განათლება და გამოცდილება, მნიშვნელოვანია, თუმცა ეს ნაშრომი კონცენტრირებულია იმაზე, თუ რამდენად თანაბრად და სისტემატურად იღებს ყველა მასწავლებელი მეტ სარგებელს მოსწავლის წარმატების შემთხვევაში. აშშ-ის სხვადასხვა შტატის ცალკეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციაზე მუშაობისას, კვლევებმა დაადასტურა, რომ დიდი განსხვავებაა მასწავლებლებს შორის, საკლასო ოთახში მუშაობის შედეგების თვალსაზრისით (იხ. Hanushek, 1971; Hanushek & Rivkin, 2010). ეს კვლევა, რომელიც ასევე ადგენს, რომ განსხვავებები მასწავლებელთა ეფექტიანობას შორის მჭიდრო კავშირში არ არის დაკვირვების ქვეშ მყოფი მასწავლებლების მახასიათებლებთან, სხვაგვარ დასკვნამდე მიდის, ვიდრე კოლმენის მოხსენება. მკვეთრი სხვაობაა მასწავლებლებს შორისაც და სკოლებს შორისაც, თუმცა, როგორც კოლმენის მოხსენებაშია აღნიშნული, არამხოლოდ მარტივად გაზომილი მახასიათებლებია მნიშვნელოვანი.

მასწავლებლის სპეციფიკური თვისებების დადგენის შეუძლებლობა ართულებს

**კვლევების უმრავლესობით დადგინდა, რომ ხარჯების აბსოლუტური მაქსიმუმი ან ხარჯების ზრდაში სხვაობა მცირედით ან საერთოდაც არ განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებას.**

» ხარჯვის მიმართულების შესახებ კვლევებიდან საკმაოდ მცირეა ის ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა წარმატების ფაქტორად ხარჯების გაზრდას მიიჩნევს და, როგორც წესი, ეს ყველაზე დაბალი ხარისხის კვლევებია. აღნიშნული კვლევები არაპროპორციულად ეყრდნობა ერთიან სახელმწიფო მონაცემებს, სადაც რაიმე სახის განსხვავებათა მაჩვენებლების არარსებობამ სახელმწიფო პოლიტიკაში შესაძლოა გამოიწვიოს შეფასების ცვლილება ხარჯვის სხვაობათა შედეგებში

სკოლებში მაღალი ხარისხის პედაგოგების ყოლის რეგულირებას, მაგრამ ხელს უწყობს დასკვნას, რომ სკოლების ინსტიტუციურ სტრუქტურასა და სტიმულებში შეტანილი ცვლილებები ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის სკოლების შედეგების გაუმჯობესებისთვის. უმარტივესია იმის თქმა, რომ *თუკი ვინმე უკმაყოფილოა მოსწავლის შედეგებით, მანვე უნდა განსაზღვროს პოლიტიკა მოსწავლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად*. ბევრ ქვეყანაში სკოლების უმრავლესობის ამჟამინდელი ორგანიზების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ არავის სამსახური ან კარიერა მჭიდროდ არ უკავშირდება მოსწავლის წარმატება-წარუმატებლობას. ამასთანავე, ზემოთ ხსენებული პროექტი კლასების სიდიდის შემცირებაზე, გავლენას ვერ ახდენს სტიმულირების სტრუქტურის ცვლილებაზე.

ერთ-ერთი პოტენციური ალტერნატივა არის სკოლის დაფინანსების სტრუქტურის შეცვლა, რომელიც მოიცავს მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის მუშაობის წახალისებას. არსებული საერთაშორისო მონაცემები მიუთითებს გარკვეულ ზოგად პოლიტიკაზე, რომელიც დაკავშირებულია სკოლების ინსტიტუციურ სტრუქტურასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და პირდაპირ ებმის სკოლის ფინანსების სტრუქტურირებას (Hanushek & Woessmann, 2011). უპირველეს ყოვლისა, სისტემის მუშაობაზე გავლენას ახდენს სტიმულირება: თუ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე პირები ჯილდოვდებიან (დაწესებულების გარეთ თუ შიგნით) მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების გამო და ისჯებიან დაბალი აკადემიური მოსწრების გამო, სავარაუდოდ, შედეგები გაუმჯობესდება. თავის მხრივ, მაღალ მოტივაციას ქმნის განათლების სისტემის ინსტიტუტები – წესები და რეგულაციები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად აწესებენ ჯილდოსა და სასჯელს სასწავლო პროცესში ჩართული პირებისთვის.

არსებული სამუშაოდან გამომდინარე, წინა პლანზე იწევს სამი ურთერთდაკავშირებული ინსტიტუციური სტრატეგია: მეტი კონკურენციის ხელშეწყობა, რათა მშობლების მოთხოვნამ შექმნას ძლიერი სტიმულები ცალკეულ სკოლებში; ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების ავტონომია, რათა ცალკეულმა სკოლებმა და მათმა ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები მოსწავლეთა მიღწევების ხელშესაწყობად; ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც სკოლის კარგი მუშაობის იდენტიფიცირებას ახდენს და ამის საფუძველზე აღიარებასა და ჯილდოებსაც მოიპოვებს. ეს შედეგები შეჯამებულია Woessmann-ის ანგარიშში (2007b). ასევე, განხილვის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ისიც, თუ როგორ მიაღწია ზოგიერთმა ქვეყანამ უკეთეს შედეგს საერთაშორისო ტესტის ქულების თვალსაზრისით (Mourshed, Chijioke, & Barber, 2010). ერთ-ერთი მთავარი ხაზი, რომლითაც ეს ორგანიზაციები გავლენას ახდენენ აკადემიურ მოსწრებაზე, უდავოდ ძლიერი მასწავლებელთა კორპუსის ყოლაა სკოლებში. ყოველ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს წახალისების ფორმები მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად და ყველაზე პირდაპირი გზა ამის მისაღწევად მასწავლებელთა საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაა.

წახალისების ფორმები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები სკოლების ორგანიზებასა და დაფინანსებაში მნიშვნელოვანწილად ცალკეულ შტატებს ეყრდნობა. ისტორიულად, შტატები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაყრდნობია რაიმე სახის სტიმულს შედეგის მისაღწევად. თუმცა, ზოგადად, მარტივია სკოლის დაფინანსების სისტემის ჩამოყალიბება, თუ ის აქ-

ცენტს წარმატების წახალისებაზე აკეთებს (Hanushek & Lindseth, 2009).

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მასწავლებელთა აქტივობის სტიმულირებაზე ფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან, სადაც ასეთი დისკუსია შედგა, ის არ ყოფილა პოპულარული განხილვის საგანი. მასწავლებლების მხრიდან საერთო წინააღმდეგობის გაწევის მიზეზი სტიმულირების სისტემისთვის, როგორიცაა შრომის ანაზღაურება, არის წუხილი იმის თაობაზე, თუ რა იქნება წახალისებული. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ მოსწავლეთა განათლებაზე. ეს კი გულისხმობს, რომ ფინანსურმა სისტემამ არ უნდა დააჯილდოოს ან დასაჯოს მასწავლებლები განათლების იმ ნაწილის გამო, რომელზეც ისინი პასუხისმგებელნი არ არიან. თუ ზოგიერთი მოსწავლე სკოლაში სხვებზე უკეთ მომზადებული მოდის, მასწავლებლები ამისათვის არ უნდა დაჯილდოვდნენ და, ასევე, არ უნდა დაისაჯონ ისეთი მოსწავლეების გამო, რომლებიც სკოლაში ნაკლებად მომზადებულნი მოდიან, არაკეთილსაიმედო ოჯახური პირობების გამო.

ამ მიდგომის რეალიზაციისთვის საჭიროა სამუშაოს შეფასების აგრესიული სისტემა. აუცილებელია ცალკეული მოსწავლის პროგრესის შესწავლა და ამ პროგრესის დაკავშირება მასწავლებლებთან, რომლებიც მასზე პასუხისმგებელნი არიან. ეს არ არის ინდივიდუალური წახალისების სისტემა, სკოლის მასწავლებელთა ჯგუფური წახალისებისგან განსხვავებით, მაგრამ ნიშნავს სკოლის აკადემიური მოსწრების ზუსტ შეფასებას. ეს, ასევე, არ ნიშნავს, რომ ტესტებზე დაფუძნებული კრიტერიუმები აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს სფერო – ანგარიშვალდებულების სისტემების შემუშავება – რეალური სფეროა სახელმწიფო ლიდერობისთვის (თუმცა, აუცილებელი არაა ადგილობრივი უპირატესობებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფა).

საერთაშორისო მონაცემები კვლავაც მოწმობს, რომ ქვეყნები, რომლებიც უპირატესად პედაგოგთა წახალისებას ეყრდნობიან, სხვა თანაბარი გარემოებების პირობებში, უფრო მეტ წარმატებას აღწევენ (Woessmann, 2011); მაშინ, როცა შრომის ანაზღაურების კონკრეტული ფორმების შეფასების სისტემა მხოლოდ ახლა მუშავდება (Podgursky & Springer, 2007: Dee & Wyckoff, 2015). არის ნიშნები, რომ სკოლები, ძირითადად, ასეთი იდეებით ექსპერიმენტებისაკენ მიდიან.

## შეჯამება და რეკომენდაციები

მიმდინარე კვლევის მთავარი გზავნილია, რომ სკოლების დაფინანსების საკითხი უფრო ფართო კონტექსტში უნდა იყოს განხილული. ბოლოდროინდელი საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მიღწეული წარმატებები ძლიერ გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალურ (Hanushek, Schwerdt, Wiederhold, & Woessmann, 2015), ასევე, ერის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე (Hanushek & Woessmann, 2015a, 2015b). თუმცა შეუძლებელია, უფრო მეტი წარმატების მოლოდინი გვქონდეს მოსწავლეებისგან, სკოლებისთვის მხოლოდ

**«ბევრ ქვეყანაში სკოლების უმრავლესობის ამჟამინდელი ორგანიზების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ არავის სამსახური ან კარიერა მჭიდროდ არ უკავშირდება მოსწავლის წარმატება-წარუმატებლობას.**

დამატებითი რესურსების გამოყოფის გამო. ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს ის, თუ როგორ მოქმედებს ნებისმიერი რესურსი ადამიანების წახალისებაზე სკოლაში და არ უნდა ველოდოთ სწავლა/სწავლების შედეგების გაუმჯობესებას, უბრალოდ, სკო-

შეუძლებელია, უფრო მეტი წარმატების მოლოდინი გვქონდეს მოსწავლეებისგან, სკოლებისთვის მხოლოდ დამატებითი რესურსების გამოყოფის გამო. ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს ის, თუ როგორ მოქმედებს ნებისმიერი რესურსი ადამიანების წახალისებაზე სკოლაში და არ უნდა ველოდოთ სწავლა სწავლების შედეგების გაუმჯობესებას, უბრალოდ, სკოლებში მეტი რესურსის ჩადებით. არასწორია სკოლის ფინანსური პოლიტიკის ტრადიციული ფოკუსირება რესურსების ნაკადზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებების მიღების თავდაპირველ შედეგებს. მიუხედავად პროგრამების კონკრეტულ დეტალებში არსებული მცირე გაურკვევლობისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მეტ-ნაკლებად იმედისმომცემი მაინც მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე ორიენტირებული ფინანსური პოლიტიკაა (ნაცვლად სკოლებისთვის უბრალოდ მეტი რესურსების გამოყოფისა). სკოლების დაფინანსების თანამედროვე ხედვას განსაზღვრავს სკოლების მხარდაჭერისა და სტიმულირების თანაფარდობა.

შეუძლებელია, უფრო მეტი წარმატების მოლოდინი გვქონდეს მოსწავლეებისგან, სკოლებისთვის მხოლოდ დამატებითი რესურსების გამოყოფის გამო. ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს ის, თუ როგორ მოქმედებს ნებისმიერი რესურსი ადამიანების წახალისებაზე სკოლაში და არ უნდა ველოდოთ სწავლა სწავლების შედეგების გაუმჯობესებას, უბრალოდ, სკოლებში მეტი რესურსის ჩადებით. არასწორია სკოლის ფინანსური პოლიტიკის ტრადიციული ფოკუსირება რესურსების ნაკადზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებების მიღების თავდაპირველ შედეგებს. მიუხედავად პროგრამების კონკრეტულ დეტალებში არსებული მცირე გაურკვევლობისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მეტ-ნაკლებად იმედისმომცემი მაინც მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე ორიენტირებული ფინანსური პოლიტიკაა (ნაცვლად სკოლებისთვის უბრალოდ მეტი რესურსების გამოყოფისა). სკოლების დაფინანსების თანამედროვე ხედვას განსაზღვრავს სკოლების მხარდაჭერისა და სტიმულირების თანაფარდობა.

თარგმნა **გვანცა ხორგუაშვილმა**

## ბიბლიოგრაფია


1. Coleman, J. S., Campbell, E. Q., Hobson, C. J., McPartland, J., Mood, A. M., Weinfeld, E. D., & York, R. J. (1966). Equality of educational opportunity. Washington, DC: U.S. Government Printing Office.
2. Dee, T. S., & Wyckoff, J. (2015). Incentives, selection, and teacher performance: Evidence from IMPACT. Journal of Policy Analysis and Management, 34(2), 267-297.
3. Ehrenberg, R. G., Brewer, D.J., Gamoran, A., & Willms, J. D. (2001). Class size and student achievement. Psychological Science in the Public Interest, 2(1), 1-30.
4. Hanushek, E. A. (1971). Teacher characteristics and gains in student achievement: Estimation using micro data. American Economic Review, 60(2), 280-288.
5. Hanushek, E. A. (2006). School resources. In E. A. Hanushek & F. Welch (Eds.), Handbook of the economics of education (pp.865-908). Amsterdam, Netherlands: North Holland.
6. Hanushek, E. A., & Lindseth, A.A. (2009). Schoolhouses, courthouses, and statehouses: Solving the funding-achievement puzzle in America's public schools. Princeton, NJ: Princeton University Press.
7. Hanushek, E. A., & Rivkin, S. G. (1997). Understanding the twentieth-century growth in U.S. school spending. Journal of Human Resources, 32(1), 35-68.
8. Hanushek, E. A., & Rivkin, S. G. (2004). How to improve the supply for high quality teachers. In D. Ravitch (Ed.), Brookings papers on education policy 2004 (pp. 7-25). Washington, DC: Brookings Institution Press.
9. Hanushek, E. A., & Rivkin, S. G. (2006). Teacher quality. In E. A. Hanushek & F. Welch (Eds.), Handbook of the economics of education (pp. 1051-1078). Amsterdam, Netherlands: North Holland.

# სკოლების დაფინანსების რამდენიმე საკითხი საქართველოში

**გერიკა შუკაკიძე**
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

როგორც ერიკ ჰანუშეკი ამტკიცებს, სკოლის წარმატებულ ფუნქციონირებაში, სხვა ცვლადებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს დაფინანსების ეფექტურ მოდელს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მკვლევარი შენიშნავს, რომ ხშირად თანხის ოდენობაზე უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტიც კი არის ის, თუ როგორ ხარჯავს სკოლა განკუთვნილ ბიუჯეტს (Hanushek, 2019).

სანამ საქართველოს საჯარო სკოლების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს შევუდგებოდეთ, საინტერესოა, გადავხედოთ საქართველოს ზოგადი განათლების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ.

საქართველოს ზოგადი განათლების 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 906 926 000 ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის (15 923 792 900 ლარი) 5,7% შეადგენს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ - 1,8%-ს. რაც შეეხება ვაუჩერის სახით გაცემულ თანხას, ჯამში 543 768 580 ლარია ( 525 196 930 ლარი საჯარო სკოლებისთვის და 18 571 650 ლარი კერძო სკოლებისთვის). მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში გაცემული დანამატის ოდენობამ კი 231 225 000 ლარი შეადგინა. საჯარო სკოლებში ერთ მოსწავლეზე, საშუალოდ, ვაუჩერის თანხა შეადგენს 1 300 ლარს (420 ამერიკულ დოლარს). შედარებისთვის მოვიყვანთ ესტონეთის მაგალითს. ესტონეთი ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 4,4%-ს (OECD-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლია 4,9%). ერთ მოსწავლეზე დანახარჯი კი – 8 946 ამერიკულ დოლარს შეადგენს (OECD-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია 11 231 ამერიკული დოლარი) (წყარო OECD, 2021).

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ყველა საჯარო სკოლის შემოსავალი და დანახარჯები. ნაშრომს არ აქვს პრეტენზია, მკითხველს წარუდგინოს მიზეზშედეგობრივი ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ანალიზი არა მარტო შემოსავლის და ხარჯების ტიპების მიხედვით, ასევე, სკოლის ტიპების მიხედვით (ქალაქი, დაბა, სოფელი, მაღალმთიანი და ეთნიკური პროფილი).

გაანალიზებული იქნება სკოლების შემოსავლები და ხარჯები ორ ნაწილად:

(I) შემოსავლის/ხარჯის ტიპების მიხედვით;

(II) სკოლის ტიპის მიხედვით.

### შემოსავლები:

## I - სკოლების შემოსავლები, შემოსავლის ტიპის მიხედვით:

თავიდანვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საჯარო სკოლები შემოსავლის დიდი ნაირსახეობით არ გამოირჩევიან. რაც ყველაზე საგულისხმოა, საკმაოდ

არათანაბარია შემოსავლის განაწილება, სახელმწიფო ბიუჯეტის წილი 98% -ს შეადგენს. ძალიან მწირია ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის წილი. საქართველოს საჯარო სკოლების ეკონომიკური საქმიანობის პოტენციალს ცალკე კვლევა სჭირდება. ჩვენ მიერ თბილისის 30 დიდი სკოლის დირექტორების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სკოლების ეკონომიკური შემოსავლების 95%-მდე წილი ფართის გაქირავებაზე მოდის. ამ ტიპის შემოსავალი თითქმის 0,1 % -ია სოფლის, მაღალი მთისა და ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, მაშინ როცა ამ კატეგორიის სკოლებს საკმაოდ დიდი მიწის ფართობები აქვთ, რომლის სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებაც გარკვეული შემოსავლის გენერირების საშუალებას მისცემდა სკოლებს. ასევე, ძალიან დაბალია სკოლებში შემოწირულობებით მიღებული თანხების ოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული რაოდენობის სკოლებს დიდი ხანია შექმნილი აქვს სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაციები, შემოწირულობების ინტენსივობა საკმაოდ ქაოსურია და ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის აქტივობები შეწყვეტილია.

საკმაოდ დაბალია ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან მიღებული შემოსავლები (0,3%). განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის პროგრამის ეფექტურობა დიდწილად იქნება დამოკიდებული ადგილობრივ დონეზე სკოლების საგანმანათლებლო მომსახურებით უზრუნველყოფაზე.

შემოსავლის ძირითადი ნაწილი შემოსავლის ტიპებზე პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება:

- ვაუჩერული შემოსავალი – 83, 4%
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული დანამატი – 14,2% (ამ ცვლადში მონაცემებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა და შესაძლოა საშუალო არითმეტიკული ზუსტად არ ახასიათებდეს ტენდენციას)
- გრანტები – 0,4%
- ეკონომიკური შემოსავალი – 0,7%
- ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული დანამატი – 0,3%

* **შენიშვნა – ამ ციფრების ჯამი არ იქნება 100%, რადგან, ზოგიერთი ცვლადის შემთხვევაში, მონაცემებს შორის სამკაოდ დიდი სხვაობაა და შესაძლოა საშუალო არითმეტიკული ზუსტად არ ახასიათებდეს ტენდენციას.**

## II – სკოლების შემოსავლები სკოლის ტიპის მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ სკოლების შემოსავლების დიდი წილი ცენტრალური ბიუჯეტიდან არის მიღებული (ვაუჩერი და დანამატი), საკმაოდ განსხვავებულია შემოსავლის ოდენობები სკოლის ტიპის მიხედვით.

ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავალი ყველაზე ნაკლებია ქალაქის სკოლებში – 71,94%, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 90,71%-ს აღწევს მაღალმთიან სკოლებში. ეს მონაცემი ასევე მაღალია სოფლის (85,37%), დაბის (80,88%) და ეთნიკური უმცირესობების (88,55%) ტიპის სკოლებში. ვაუჩერით მიღებული შემოსავლების დაბალანსება ხდება დანამატის მუხლით და, ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქალაქის სკოლებში (23,79%) და ყველაზე დაბალი – მაღალი მთის ტიპის სკოლებში (7,76%).

ქალაქის სკოლების შემოსავლის დიაგრამა:




სოფლის სკოლების შემოსავლის დიაგრამა:



### დაგის სკოლეგის შემოსავლის დიაგრამა:




### შემოსავალი გაღალი მთის სკოლეგში:




### შემოსავალი ეთნიკური უმცირესობეგის სკოლეგში:




რაც შეეხება სკოლების ხარჯებს, ამ კატეგორიაში ციფრები უფრო ერთგვაროვანია და სკოლის ტიპის მიხედვით განსხვავება ნაკლებად იკვეთება.

სკოლების შემოსავლების უმეტესი ნაწილი ხელფასებში იხარჯება და, საშუალოდ, მთლიანი ხარჯის 86%-ს შეადგენს. შემდეგი ცვლადები, რომლებზეც შედარებით მეტი ხარჯი ნაწილდება, არის კომუნალური გადასახადები (3,29%) და რემონტი (4,3%), მაშინ როცა სკოლების მიერ მოსწავლეების პროექტებსა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე გაწეული დანახარჯები საკმაოდ მწირია და, შესაბამისად, 0,05%-სა და 0,69%-ს შედგენს. სკოლები, საშუალოდ, 65-ჯერ მეტ თანხას ხარჯავენ კომუნალურ გადასახადებში, ვიდრე მოსწავლეთა პროექტებში და 4,7-ჯერ მეტს, ვიდრე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში.

რაც შეეხება ხარჯებს სკოლის ტიპების მიხედვით:

### ქალაქის სკოლა:




### სოფლის სკოლა:



### დაგის სკოლა:




ხელფასი | კომუნალური ხარჯი | მოსწავლეთა პროექტები | პროფესიული განვითარება | რემონტი | სხვა

### ეთნიკური უმცირესობების პროფილის სკოლა:




ხელფასი | კომუნალური ხარჯი | მოსწავლეთა პროექტები | პროფესიული განვითარება | რემონტი | სხვა

### მაღალი მთის სკოლა:




ხელფასი | კომუნალური ხარჯი | მოსწავლეთა პროექტები | პროფესიული განვითარება | რემონტი | სხვა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში როგორც შემოსავლის, ასევე, ხარჯების ნაწილში, საკმაოდ მაღალია ერთი კომპონენტის ხვედრითი წილი: პირველ შემთხვევაში, ეს ვაუჩერით მიღებული შემოსავალია, ხოლო მეორე შეთხვევაში კი - ხელფასის სახით გაცემული თანხები. საკმაოდ დაბალია ეკონომიკური საქმიანობითა და შემოწირულობებით მიღებული შემოსავლები. ასევე, დაბალია მოსწავლეთა პროექტებისთვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის გაწეული დანახარჯები.

### ბიბლიოგრაფია


1. Hanushek, E. Funding schools. 2019. PP- 92-97. Rutlage. http://hanushek.stanford.edu/sites/default/files/publications/Hanushek%202019%20Visual%20Learning.pdf
2. Education GPS, OECD, 5/22/2021, 6:16:08 PM http://gpseducation.oecd.org

# განათლების სისტემის რეაგირება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან დაკავშირებით

საბერძნეთის
განათლებისა და რელიგიის საქმეთა
სამინისტრო

Greek Chairmanship
Council of Europe
May - November 2020
Présidence de la Grèce
Conseil de l'Europe
Mai - Novembre 2020

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

## პოლიტიკური დეკლარაცია

29 ოქტომბერი, 2020

განათლების მინისტრების არაოფიციალური კონფერენცია,
ორგანიზებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
საბერძნეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში

## პოლიტიკური განცხადება

### შესავალი

ევროპული კულტურული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა განათლების მინისტრები, რომლებიც 2020 წლის 29 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საბერძნეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში ორგანიზებულ არაოფიციალურ ონლაინკონფერენციას ესწრებოდნენ, მხარს უჭერენ განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის საორგანიზაციო კომიტეტის (CDPPE) მიერ მომზადებულ დეკლარაციას:

ვადასტურებთ განათლების უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობას კრიზისული პერიოდის დროს, როგორც ეს მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში – ოქმი 1-ლი, მუხლი მე-2, აგრეთვე, ევროპის სოციალური ქარტიის, მე-7, მე-10, მე-15 და მე-17 მუხლებში.

ვადასტურებთ, რომ განათლების უფლება მნიშვნელოვანწილად იქნება უზრუნველყოფილი, თუ შეთავაზებული განათლება მაღალი დონის იქნება, როგორც ეს დადასტურებულია **მინისტრთა კომიტეტის (2012 წ.) 13 რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოებისათვის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ.**

ასევე, კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას მტკიცე გადაწყვეტილებაზე – არ დავუშვათ, ჯანმრთელობის კრიზისი გადაიქცეს დემოკრატიის კრიზისად; ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ განათლება არის გასაღები საზოგადოების სიმტკიცისა და სტაბილურობისაკენ.

გამოვხატავთ მადლიერებასა და პატივისცემას განათლების სისტემებისა და დაწესებულებების, ასევე, პედაგოგების, ადმინისტრაციული და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის, სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების, სტუდენ-

**» დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, რაზე დაყრდნობითაც ვაშენებთ ჩვენს განათლებას, უნდა აისახოს კოვიდის მიმართ ჩვენს პასუხში, რომელიც: მოიცავს ყველა სასკოლო საგანსა და აკადემიურ დისციპლინას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ სწავლა სწავლებასა და კვლევას, აგრეთვე, მჭიდრო თანამშრომლობას საგანმანათლებლო და გარდამავალ ეტაპებზე, საშუალებას მოგვცემს, სწორად და პასუხისმგებლობით გამოვიყენოთ არსებული პედაგოგიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები.**

ტებისა და მშობლების რეაგირებასთან დაკავშირებით, COVID-19 პანდემიასთან მიმართებაში, რომელიც ევროპაში 2020 წლის პირველი ნახევრიდან მძვინვარებს.

ვაღიარებთ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საგანგებო მდომარეობასთან დაკავშირებული სწრაფი რეაგირების აუცილებლობას.

ვაღიარებთ, რომ COVID-19 კრიზისის დროს პედაგოგებისა და სასწავლო დაწესებულებების წინაშე წარმოშობილი გარკვეული პრობლემები საგანმანათლებლო სისტემების სუსტი მხარეების შედეგად არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია არის ინვესტიცია ევროპისა და ცალკეული ქვეყნების მომავლისათვის.

ვადასტურებთ COVID-19 პანდემიის შედეგად მიღებული გამოცდილების მნიშვნელობას, რათა ჩვენმა განათლების სისტემებმა და ინსტიტუტებმა შეძლონ სამომავლო კრიზისებთან გამკლავება; აგრეთვე, შეცვალონ და გააუმჯობესონ ფუნქციონირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

ვადასტურებთ, რომ, მიღებული გამოცდილების შედეგად, COVID-19 პანდემიის შემდეგ ჩვენი ინსტიტუტები უფრო გაძლიერდებიან.

აქედან გამომდინარე, ვადასტურებთ, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისის მართვა უნდა მოხდეს აუცილებლად ყველა ადამიანის ღირსების დაცვით.

ვადასტურებთ, რომ განათლებამ, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასებას, მოსწავლეებში უნდა განავითაროს სამართლიანობის, პატივისცემისა და თანაგრძნობის განცდა.

2019 წლის 26 ნოემბერს პარიზში, განათლების მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ასევე, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ეთიკის განვითარება, ჩვენი განათლების სისტემის მთავარი ამოცანაა.

მივიჩნევთ, რომ დღეს ჩვენ მიერ შემოთავაზებული განათლება უნდა ასახავდეს საზოგადოების ისეთ სახეს, როგორის ხილვაც გვსურს ხვალ.

ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ეროვნული განათლების სისტემის ფარგლებში შემოთავაზებული ყველა ტიპის განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო[1].

ვადასტურებთ, რომ ჩვენი პასუხისმგებლობა საზოგადოების მომავალზე განათლებასთან მიმართებაში, თავისი მნიშვნელობით საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ტოლფასია.

ვადასტურებთ, რომ საერთაშორისო ღიაობა და თანამშრომლობა, მათ შორის, ევროსაბჭოს და სხვა ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, აუცილებელია COVID -19 პანდემიით გამოწვეული კრიზისების შედეგებთან გასამკლავებლად.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მუშაობის შედეგები აისახება სახელმწიფო ბიუჯეტებზე.

ვაღიარებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს ევროსაბჭოს მონიტორინგის ორგანოების მიერ მოხსენებაში დასმული საკითხების დასაბუთებულ გადაწყვეტას და, შესაბამისად, უნიკალურია ამ ანგარიშებში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ვაღიარებთ, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებით უზრუნველყოფის სუსტი მხარეები საფრთხეს უქმნის განათლების მიღების უფლებას, განსაკუთებით, სტუდენტთა მოწყვლადი ნაწილისთვის.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, რაზე დაყრდნობითაც ვაშენებთ ჩვენს განათლებას, უნდა აისახოს კოვიდის მიმართ ჩვენს პასუხში, რომელიც: მოიცავს ყველა სასკოლო საგანსა და აკადემიურ დისციპლინას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ სწავლა/სწავლებასა და კვლევას, აგრეთვე, მჭიდრო თანამშრომლობას საგანმანათლებლო და გარდამავალ ეტაპებზე, საშუალებას მოგვცემს, სწორად და პასუხისმგებლობით გამოვიყენოთ არსებული პედაგოგიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

ვაცხადებთ, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემები და დაწესებულებები მიაღწევენ განათლების ყველა მთავარ მიზანს: მზადება ხანგრძლივი დასაქმებისათვის, აქტიური მოქალაქეების მომზადება დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, პიროვნული განვითარება, სწავლა/სწავლებისა და კვლევის გზით, პროგრესზე მიმართული და მრავალპროფილური ცოდნის ბაზის შექმნა და შენარჩუნება.[2]

COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შეგვიძლია, დავეყრდნოთ ევროსაბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდილებასა და მიღწევებს, შვიდი ათწლეულის განმავლობაში, ევროპის კულტურული კონვენციის ფარგლებში, თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული ინსტრუმენტების ჩათვლით.

განათლების სამინისტროს რეაგირება COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით

კრიზისული პერიოდები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს დემოკრატიის დაცვას. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ განათლების მნიშვნელობას დემოკრატიული კულტურის განვითარებისათვის, რაც პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობას მისცემს დემოკრატიულ საზოგადოებას თავისი ინსტიტუტებით, კანონებითა და არჩევნებით.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა ჩამოაყალიბონ და შეინარჩუნონ ის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ხდება განათლების მიღება, ამ სფეროს ყველა მიმართულებით მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით. **მინისტრთა კომიტეტის (2007 წ.) 6 რეკომენდაციის პრინციპები წევრი სახელმწიფოების უმაღლესი განათლების კვლევისათვის საზოგადოების პასუხისმგებლობის შესახებ.**

**«** **გამომდინარე აქედან, COVID-19 პანდემიის პირობებში, ხაზს ვუსვამთ ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობას, ჩვენი მოქმედი და დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, მშობლებისა და ოჯახების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.**

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ, კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და გამოწვევის წინაშე დგას განათლების უფლების უზრუნველყოფა ინოვაციებისა და ადაპტაციების საშუალებით, რომლის მიზანია, დაიცვას ჩვენი განათლების პრინციპები და მისი ხარისხი.

გამომდინარე აქედან, COVID-19 პანდემიის პირობებში, ხაზს ვუსვამთ ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობას, ჩვენი მოქმედი და დამწყები პედაგოგების

პროფესიულ განვითარებას, მშობლებისა და ოჯახების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

ჩვენი რეაგირება COVID-19 პანდემიაზე მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მთლიანად სისტემის მიდგომებს, რაც ხაზს უსვამს თანამშრომლობის აუცილებლობას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის და, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემებს შორის.

ჩვენ ვაცნობიერებთ პედაგოგთა განსაკუთრებულ, გადამწყვეტ როლს.

ჩვენ, ასევე, ვაცნობიერებთ კერძო პროვაიდერების, განსაკუთრებით, ბიზნესსაზოგადოების მნიშვნელოვან როლს COVID-19 პანდემიის დროს ონლაინსწავლებისა და სასწავლო პლატფორმების შემუშავებაში. მოვუწოდებთ პროვაიდერებს თანამშრომლობისკენ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და განათლების სისტემებზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებთან. მათ ძალუძთ, ხელი შეუწყონ ონლაინ-განათლების გარდაქმნას ექსპერიმენტული კრიზისული რეჟიმიდან სტაბილურ ონლაინ და ჰიბრიდულ სწავლებად, რომელიც პატივს სცემს მომხმარებელთა კონფიდენციალობას და გამორიცხავს საგანმანათლებლო სისტემებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კომერციული ინტერესების უარყოფით გავლენას განათლების უზრუნველყოფის ნეიტრალიტეტსა და მრავალფეროვნებაზე.

## დემოკრატიის გაძლიერება განათლების მეშვეობით

ჩვენ ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებებს:

- როგორც 2016 წლის 11-12 აპრილს, ბრიუსელში გამართულ **ევროსაბჭოს განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კონფერენციის 25-ე სესიაზე მიღებულ დეკლარაციაშია** ნათქვამი, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის აქტიური მოქალაქეების მომზადება განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია.[3]
- როგორც იმავე დეკლარაციაშია ნათქვამი, ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანი – დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება - არ ნიშნავს მოსწავლეების მხოლოდ ცოდნითა და აღქმის უნარ-ჩვევებით აღჭურვას; ის შესაძლებლობას აძლევს მათ, იმოქმედონ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და პოპულარიზაციისთვის.[4]
- დემოკრატიის პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხდება იმ დამოკიდებულებისა და მოქმედების გარეშე, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში; ავალდებულებს მათ, მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში, ხელი შეუწყონ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას და განავითარონ მრავალფეროვანი საზოგადოების ღირებულებები.
- ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო წარმოადგენს საფუძველს, რომლის ბაზაზეც ჩვენი საგანმანათლებლო სისტემები და ინსტიტუტები განაგრძობენ ამ კომპეტენციების განვითარებას განათლების ყველა დარგსა და ყველა დონეზე.
- უმაღლესი განათლების შემთხვევაში, აკადემიური თავისუფლება და ინსტიტუციური ავტონომია დემოკრატიული საზოგადოებების ქვაკუთხედია. საჯარო ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს აკადემიური თავისუფლებებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ჩარჩოები და მუდმივად გააკონტროლოს ამ ძირითადი უფლებების განხორციელება, უმაღლესი განათლების მდგრადი

გრძელვადიანი სტრატეგიების მხარდაჭერისას.[5]

- დაინტერესებული მხარეების – პერსონალის, სტუდენტებისა და მშობლების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების როლი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში უნდა გამყარდეს და მიიღოს მეტი აღიარება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ თემებში.
- COVID-19 პანდემიამ ხაზი გაუსვა განათლების მდგრადი განვითარების მნიშვნელობას, როგორც ამ მდგრადობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს.

ჩვენ ვთხოვთ, რომ ევროსაბჭომ:

- შეიმუშაოს რეკომენდაციები და მასალები, რომლებიც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ქვაკუთხედს წარმოადგენს კრიზისის პერიოდში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის, განათლების მეშვეობით.
- სამუშაოს ფარგლებში, ხელი შეუწყოს ევროპული სივრცის უმაღლესი განათლების დემოკრატიული მისიის, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის გააზრებასა და პრაქტიკის განვრცობას, რაც ფუნდამენტურ ღირებულებებს რეალობად აქცევს უფრო რთული დემოკრატიის საზოგადოებებში.
- ეცადოს, გააძლიეროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ადგილობრივ თემებთან.
- უზრუნველყოს ექსპერტთა ხელშეწყობა წევრ სახელმწიფოებში, რათა მოხერხდეს განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების კანონებისა და პოლიტიკის გადახედვა, რომ მათ ჰქონდეთ ადეკვატური მზაობა ნებისმიერი მომავალი პანდემიის ან სხვა კრიზისის მოსაგვარებლად.
- შეძლებისდაგვარად, მოხდეს ამ ახალი ინიციატივების ჩართვა მათ თანამშრომლობაში და განათლებაში არსებულ შესაძლებლობათა განვითარების პროექტებში.
- განამტკიცოს განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის საორგანიზაციო კომიტეტის, როგორც ევროპული თანამშრომლობის ძირითადი პლატფორმის, როლი COVID-19 პანდემიის გამოწვევებისა და მისი შედეგების მოსაგვარებლად.
- ხელი შეუწყოს განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებას სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბაზაზე, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობისადმი ერთგულების, აგრეთვე, განათლების სფეროში მიღებული გამოცდილებისა და კანონების საფუძველზე.
- გააუმჯობესოს გამჭვირვალობა და გააძლიეროს საგანმანათლებლო პროგრამების ჩართულობა, სადაც განათლების უფლება განსაზღვრულია ევროპის საბჭოს კონვენციებში და შეისწავლება მონიტორინგის ორგანოების მიერ.

განაგრძოს თავისი წვლილის შეტანა **გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის** განხორციელებაში, იუნესკოსთან თანამშრომლობით.

## სწავლისა და სწავლების ინოვაციური გზები

ჩვენ ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებებს:

- **მინისტრთა კომიტეტის 2012 წლის რეკომენდაცია 13, წევრი სახელმწიფოებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ,** ხაზს უსვამს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში

ყველამ უნდა ისარგებლოს თანაბარი შესაძლებლობებით, რათა გამოიყენოს განათლების მიღების უფლება და ისარგებლოს ხარისხიანი განათლებით, რომელიც შეესაბამება მათ მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს.

» რეკომენდაცია ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალური ჩართულობა უნდა იყოს ხარისხიანი განათლების მიღების განუყოფელი ნაწილი. განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მოითხოვს სისტემურ რეაგირებას ჩვენი განათლების სისტემების მხრიდან.

» COVID-19 პანდემიის კრიზისი ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ საგანმანათლებლო სისტემებმა და ინსტიტუტებმა გადახედონ და შეაფასონ, თუ როგორ ასწავლიან ისინი და როგორ სწავლობენ სტუდენტები, მათ შორის, რამდენადაა უზრუნველყოფილი განათლების მიღების უფლება სპეციალური საჭირო-ების მქონე მოსწავლეებისთვის. ეს მოითხოვს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული რეაგირების გამოცდილების გათვალისწინებას. მუდმივ ადაპტაციებს არ შეუძლია საგანგებო ზომების კოპირება.

» **მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის რეკომენდაცია 9, წევრი სახელმწიფოებისათვის მასწავლებლის პროფესიაში ეთიკის კულტურის გაძლიერების შესახებ,** ასახავს განათლების ყველა დონის ეთიკური უზრუნველყოფის ზომებს

» COVID-19 კრიზისის დროს პირისპირ სწავლების მასობრივი ჩანაცვლება ონლაინფორმატით საჭიროებს მაღალხარისხიანი სწავლების მოდელად ჩამოყალიბებას. განათლების სისტემები და ინსტიტუტები აერთიანებს განათლების მიწოდების სხვადასხვა ფორმას – დაწყებული საკლასო სწავლებით, დამთავრებული – მცირე ჯგუფებში მუშაობით. ხარისხიანი შერეული სასწავლო რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს სკოლების როლს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციების განვითარებაში.

» შერეულ და ონლაინსწავლებას ხელი უნდა შეუწყონ განათლების მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, რომლებიც კარგი სამუშაო პირობებითა და ხარისხიანი რესურსებით არიან უზრუნველყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ ვითარდება განათლების მიწოდების ფორმები, კარგად მომზადებულ პედაგოგთა, სასწავლო გეგმის შემდგენელთა  და განათლების სხვა პროფესიონალთა როლი გადამწყვეტია.

» იმისათვის რომ, შერეული და ონლაინსწავლება ინკლუზიური და მაღალი ხარისხის განათლების მახასიათებლებში გადაიზარდოს, სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე, მშობლები, აღჭურვილნი უნდა იყვნენ საჭირო ინფრასტრუქტურით, რათა შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების კარგად გამოყენება შეძლონ. ინფორ-

**ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ  ᲞᲠᲝᲕᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲗᲐᲜ. ᲒᲐᲗ ᲫᲐᲚᲣᲫᲗ, ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ ᲝᲜᲚᲐᲘᲜᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲓᲐᲜ ᲡᲢᲐᲒᲘᲚᲣᲠ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲓᲐ ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲪᲔᲛᲡ ᲛᲝᲛᲖᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ.**

მაციული ტექნოლოგიების ფლობა, განვითარება  და გამოყენება მასწავლებელთა მომზადების მიზანს უნდა წარმოადგენდეს განათლების ყველა საფეხურზე.

- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები და ღონისძიებები ყველა საფეხურზე  უნდა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს პედაგოგიკური ინოვაციების განვითარებას და, თავის მხრივ, ემყარებოდეს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებსა და განათლების მიწოდების ფორმატებს.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებაში ყველა სახის ონლაინთაღლითობის მოსპობის საკითხს.
- **მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2019 წ.) 10 წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და პოპულარიზაციის შესახებ,** ასევე, დეკლარაცია სამოქალაქო განათლების შესახებ ციფრულ ეპოქაში, მიღებულ იქნა 2019 წლის 26 ნოემბერს, პარიზში ჩატარებული განათლების მინისტრთა არაფორმალური კონფერენციის მიერ. დეკლარაცია ასახავს ახალგაზრდა და ზრდასრული მსწავლებლების ონლაინსწავლების ძირითად პრინციპებს.

ევროპის საბჭოს პროექტი **ციფრული მოქალაქეობის განათლების** შესახებ, გთავაზობთ მნიშვნელოვან რესურსებს, რომლებიც გამოიყენება ჩვენს ყველა საგანმანათლებლო სისტემაში, კერძოდ, ციფრული მოქალაქეობის განათლების სახელმძღვანელოს, COVID-19 კრიზისზე ადაპტირებული გაკვეთილის გეგმების სერიისა და ბიზნეს საწარმოებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სამართლიან პარტნიორობაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ევროსაბჭოს **ონლაინ სასწავლო მოდულები** განათლების სპეციალისტებისათვის უზრუნველყოფს ონლაინსწავლების პრაქტიკულ რესურსებს ევროპის მასშტაბით და მოიცავს ევროსაბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტული სფეროების ამსახველ თემებს.

- თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის რესურსები, როგორებიცაა რესურსების საგანძური მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, ღია პროფესიული ვებინარები ენის სპეციალისტებისთვის, შეთავაზებულ იქნეს სკოლებისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის, როგორც ხარისხიანი ონლაინ და შერეული ენობრივი განათლების საშუალებები.

ჩვენ ვთხოვთ, რომ ევროპის საბჭომ:

- შეიმუშაოს და სხვადასხვა მედიასაშუალებით გაავრცელოს რეკომენდაციები და მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუტებს, ასევე, განათლების სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მხარეებს, მოახდინონ თავიანთი მიდგომების ადაპტირება სწავლა/სწავლების პროცესში, COVID-19 კრისიზის გამოცდილების გათვალისწინებით. დაამუშაოს და გაავრცელოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიღებული დადებითი ინფორმაცია ონლაინ მეთოდებისა და ხელოვნური ინტელექტის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების გამოყენების შესახებ.
- უზრუნველყოს მასწავლებელთა როლის მნიშვნელობისა და გაძლიერების გზების შესწავლა; ასევე, გამოკვეთოს კომპეტენციების როლი დემოკრატიული კულტურისა და შერეული და ონლაინგანათლების უზრუნველყოფაში,

**ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო წარმოადგენს საფუძველს, რომლის გაზაზეც ჩვენი საგანმანათლებლო სისტემები და ინსტიტუტები განაგრძობენ ამ კომპეტენციების განვითარებას განათლების ყველა დარგსა და ყველა დონეზე.**

» COVID-19 პანდემიამ ხაზი გაუსვა განათლების მდგრადი განვითარების მნიშვნელობას, როგორც ამ მდგრადობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორს.

მოქმედი და დამწყები მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაში.

» ETINED პლატფორმის საშუალებით, შეიმუშაოს რეკომენდაციები კრიზისულ პერიოდში ეთიკურად გამართული სწავლა/სწავლების პროცესისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.

» შეიმუშაოს სამუშაო ჩარჩო ბიზნეს-საწარმოებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სამართლიანი პარტნიორობის სამართავად, განათლების ზოგადი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

## » კვალიფიკაციების შეფასება და აღიარება

ჩვენ ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებებს:

» განათლების ხასიხის შეფასება, სწავლის შედეგების საფუძველზე, არის განათლების სისტემებისა და დაწესებულებების ძირითადი ვალდებულება, ხოლო ხელმისაწვდომობა ამ შეფასებებსა და საკვალიფიკაციო ჩარჩოებზე წარმოადგენს სტუდენტთა პროგრესის საფუძველს შრომის ბაზარზე.

» COVID-19 პანდემიამ აჩვენა, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემები და დაწესებულებები საჭიროებენ შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებას და არიან მოქნილი, მათი გამოყენებისა და მიღების თვალსაზრისით.

» კერძოდ, 2019/2020 სასწავლო წელს ჩატარებული გამოცდები და შეფასებები უნდა იქნეს სრულად აღიარებული. ასევე, არ უნდა გავრცელდეს პრინციპი, რომ კვალიფიკაციის აღიარება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება მნიშვნელოვანი განსხვავება უცხო ქვეყნების კვალიფიკაციასა და იმ ქვეყანაში მიღებულ კვალიფიკაციას შორის, სადაც აღიარება ხდება.

» განათლების სხვადასხვა საფეხურსა და მიმართულებას შორის გადასვლა, მაგალითად: დაწყებით და საშუალო, საშუალო და უმაღლეს განათლებას შორის, უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე, რათა განათლების მიღება ეფექტური გახდეს.

» შეფასებები და კვალიფიკაცია, რის საფუძველზეც ისინი გაკეთდა, უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ იმ ქვეყანაში ან იმ განათლების სისტემაში, რომელშიც განხორციელდა, არამედ საზღვრებს გარეთაც.

**ევროსაბჭო/იუნესკოს ლისაბონის აღიარების კონვენცია** (ETS 165) და მისი დამხმარე ტექსტები ადგენენ ევროპულ სტანდარტს, რომელიც ყველა განმცხადებლის კვალიფიკაციის სამართლიანი აღიარების უფლებას უზრუნველყოფს.

ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტმა და **ENIC და NARIC ქსელებმა** მიიღეს ზომები სამართლიანი აღიარების უფლების უზრუნველსაყოფად, COIVD-19 პანდემიის მიუხედავად.

» **ენების ერთიანი ევროპული ჩარჩო (CEFR), ევროპული ენის პორტფოლიოსთან (ELP)** ერთად, ადგენს ევროპულ სტანდარტებს სასწავლო პროგრამებისთვის, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად და თვითშეფასებისთვის.

» **ლტოლვილთა ევროპული საკვალიფიკაციო პასპორტი (EQPR)** ითვალისწინებს დევნილთა და თავშესაფრის მაძიებელთა კვალიფიკაციის შეფასების მეთოდს მაშინაც კი, როდესაც ეს მეთოდი სრულად არ არის დოკუმენტირებული; შესაბამისად, შეფასების აღწერის ფორმატი მისაღები უნდა იყოს საზღვრებს გარეთაც.

ჩვენ ვთხოვთ ევროპის საბჭოს:

- მოამზადოს რეკომენდაციები და მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუტებს კვალიფიკაციის შეფასების მრავალფეროვანი და მოქნილი, ასევე, ახალ რეალობასთან და სამომავლო კრიზისებთან მიმართებით ადაპტირებული მეთოდების შემუშავებაში, COVID-19 პანდემიით მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.
- ლისაბონის აღიარების კონვენციაზე დაყრდნობით, შეიმუშაოს რეკომენდაციები და მასალები კრიზისულ პერიოდში სამართლიანი აღიარების უფლების უზრუნველსაყოფად.
- უზრუნველყოს ლტოლვილთა ევროპული საკვალიფიკაციო პასპორტისა და თავშესაფრის მაძიებელთა კვალიფიკაციის აღიარების აუცილებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების მიერ.

## მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლეებისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფა

ჩვენ ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებებს:

- განათლების სისტემები შეიძლება იყოს მაღალი ხარისხის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სწავლის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლისა და სტუდენტისათვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ან სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის და ადაპტირებული იქნებიან მათი საჭიროებების შესაბამისად.
- COVID-19 პანდემიამ აჩვენა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა განათლებაში თანაბარი შესაძლებლობები რეალობად იქცეს მათთვის, ვისაც არახელსაყრელი პირობები აქვს; ამასთანერთად, გამოჩნდა, რომ განათლებას აქვს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის პოტენციალი.
- საჯარო ხელისუფლებას ევალება, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიწოდება მათთვის, ვინც ვერ შეძლებს ძირითადი სასწავლო პროგრამების წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა მიზეზის გამო, რაც მოიცავს სწავლების ენის (ენების) არცოდნას ან არსებით განსხვავებებს წინა საგანმანათლებლო პროგრამებში.[7]
- განათლების უფლების უზრუნველსაყოფად და წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად, ასევე, განათლების სამართლიანობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სწავლების ენის (ენების) კომპეტენციების განვითარება, როგორც ეს აღწერილია **მინისტრთა კომიტეტის (2014 წ.) მე-5 რეკომენდაციაში, წევრი სახელმწიფოებისათვის სწავლების ენის (ენების) კომპეტენციების მნიშვნელობის შესახებ, სამართლიანობის, ხარისხისა და განათლებაში წარმატების მისაღწევად.**
- COVID-19 პანდემიასთან გასამკლავებლად საჭირო განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობამ გამოწვევის წინაშე დააყენა მოწყვლადი ჯგუფის მოსწავლეები. მათ შორის, ის მოსწავლეები, რომელთა მშობლები ვერ ახერხებენ შვილების დახმარებას საშინაო დავალებების შესრულებაში.

**შეიმუშაოს რეკომენდაციები და მასალები, რომლებიც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ქვაკუთხედს წარმოადგენს კრიზისის პერიოდში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის, განათლების მეშვეობით.**

**COVID-19 პანდემიამ აჩვენა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა განათლებაში თანაბარი შესაძლებლობები რეალობად იქცეს მათთვის, ვისაც არახელსაყრელი პირობები აქვს; ამასთან ერთად, გამოჩნდა, რომ განათლებას აქვს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის პოტენციალი.**

- კერძოდ, ონლაინსწავლებაზე უეცარმა გადასვლამ მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლეებს შეუზღუდა მასწავლებლებთან მჭიდრო კონტაქტის შესაძლებლობა; გამოიკვეთა, რომ ეს მოსწავლეები განიცდიან ონლაინ შევიწროებას და მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებას.
- ამასთან, COVID-19 პანდემიის დროს სწავლის გაგრძელების გამოწვევის წინაშე მყოფი მოწყვლადი ჯგუფის მოსწავლეები კვლავ საჭიროებენ დახმარებას, რამეთუ ისინი თანდათან უბრუნდებიან საკლასო და შერეული ფორმატით განათლების მიღებას.
- მოსწავლეებიმ, პერსონალი და მშობლები ფსიქიკური პრობლემების წინაშე დგანან და საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას; შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვისა და მკურნალობის სერვისები (მაგ. ფსიქოლოგიური დახმარება, მუდმივი სატელეფონო კავშირი) უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

ჩვენ ვთხოვთ ევროპის საბჭოს:

- შეიმუშაოს რეკომენდაციები და მასალები, რომლებიც დაეხმარება განათლების სისტემებსა და ინსტიტუტებს მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლეთა ხარისხიანი, ახალ რეალობასთან და სამომავლო კრიზისებთან მიმართებით ადაპტირებული პროგრამებით უზრუნველყოფაში.
- უზრუნველყოს საკვანძო გზავნილების უფრო მეტი გამჭვირვალობა ინკლუზიური, მრავალენოვანი და კულტურათშორისი განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთათვის, სკოლის ხელმძღვანელთათვის და პედაგოგთათვის, წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, ასევე, ამ სფეროში საბჭოს მდიდარი კანონმდებლობისა და მრავალენოვანი და ინტერკულტურული საგანმანათლებლო **რესურსების პლატფორმისა და ცნობარის მეშვეობით.**

## ბიბლიოგრაფია


1 მინისტრთა კომიტეტის (2012 წ.) 13 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის ხარისხიანი განათლების შესახებ, პარაგრაფი 11.

2 მინისტრთა კომიტეტის (2007 წ.) 6 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის უმაღლესი განათლებისა და კვლევის მიმართ საზოგადოების პასუხისმგებლობის შესახებ, პარაგრაფი 5.

3 იქვე.

4 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010) 7 წევრი ქვეყნისთვის; ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ; პარაგრაფი 5.

5 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიისთვის, პარაგრაფი 7.

6 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012 წ.) 13 წევრი სახელმწიფოებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ, პარაგრაფი 6ა.

7 განსხვავებული ფორმულირებით, იქვე. პარაგრაფი 26.

8 ევროპის სტუდენტური კავშირის მიერ ჩატარებული ბოლო გამოკითხვის თანახმად, უმაღლესი განათლების სტუდენტების 12.9%.

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

# დისტანციური სწავლების გამოწვევები – მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, მათ შორის, კვლევის შედეგებს. ცენტრის ანალიტიკური სამსახური პერმანენტულად ატარებს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს ცენტრის მიმდინარე საქმიანობის შეფასება თუ საჭიროებების იდენტიფიცირება სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისთვის. პანდემიის პირობებში დისტანციურ სწავლებაზე სპონტანურმა გადასვლამ დღის წესრიგში ბევრი გამოწვევა დააყენა. აქედან გამომდინარე, სიტუაციის ანალიზისა და საკითხთან მიმართებით პედაგოგების მოსაზრებებისა თუ გამოცდილებების შესასწავლად, გადავწყვიტეთ სატელეფონო გამოკითხვის ჩატარება. მიღებული შედეგები, ვფიქრობთ, სკოლის დირექტორებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს სკოლის მართვაში მთელი რიგი საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლების გამოწვევების შესახებ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია შეგროვდა საქართველოს 11 რეგიონის (43 რაიონის) 94 საჯარო სკოლაში. სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილეობა 982 რესპონდენტმა მიიღო, რომელთაგან 88 მამრობითი სქესის პედაგოგია, ხოლო დანარჩენი 894 – მდედრობითი სქესის. რესპონდენტების დაყოფა სწავლების საფეხურების მიხედვით ასეთია: 222 პედაგოგი ასწავლის მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, 34 – მხოლოდ საბაზო საფეხურზე, 26 – მხოლოდ საშუალო საფეხურზე, ხოლო დარჩენილი 436 პედაგოგი ასწავლის ორ საფეხურზე, 254 კი – სამივე საფეხურზე.

მასწავლებლებმა უპასუხეს შეკითხვებს ონლაინგაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის, მათი ციფრული კომპეტენციების, საკუთარი გამოცდილების შესახებ და, ასევე, შემოგვთავაზეს რეკომენდაციები, თუ რის შეცვლას ან გაუმჯობესებას ისურვებდნენ დისტანციური სწავლების მიმდინარეობისას.

გამოკითხული პედაგოგების მიხედვით, ონლაინგაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრება დამაკმაყოფილებლად შეფასდა. რესპონდენტების 69% პასუხობს, რომ მათ ონლაინგაკვეთილებს მოსწავლეთა 60+ პროცენტი ესწრებოდა. ეს კი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ონლაინსწავლებაზე გადასვლა მოსწავლეებს არ გაუჭირდათ. იხ. დიაგრამა N4.

**დიაგრამა N4**

**მოსწავლეთა რამდენი პროცენტი ესწრება ონლაინ გაკვეთილებს**




შეკითხვაზე, თუ როგორ ახერხებენ კოლეგები მოსწავლეთა თანაბრად ჩართვას ონლაინგაკვეთილებზე, პედაგოგების მხრიდან შემდეგი პასუხები იქნა მიღებული: 78% ამბობს, რომ ისინი ახერხებენ მოსწავლეთა ჩართვას, 21% პასუხობს, რომ მეტ-ნაკლებად ახერხებენ, ხოლო პედაგოგების 1%-ის თანახმად, მათი კოლეგები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართვას.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მოსწავლეებს ონლაინ, დისტანციური სწავლების დროს საკუთარი აზრის გამოხატვის პრობლემა არ აქვთ და ეს სივრცე სავარაუდოდ მათთვის გაუცხოებისა და „ჩაქრობის" გამომწვევი არ არის. შემთხვევები, როდესაც რესპონდენტების აზრით, მოსწავლეებს გაუჭირდათ ონლაინგაკვეთილებზე აზრის გამოხატვა, აღმოჩნდა ტექნიკური გაუმართაობის შედეგი. გარდა ჩამოთვლილი მიზეზებისა, პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეების მხრიდან საკუთარი აზრის გამოხატვის პრობლემის სხვა მიზეზებზეც:

- ერთმანეთს აგდებენ პროგრამიდან მოსწავლეები / ერთმანეთს უთიშავენ ხმას;
- თავს იკავებენ ონლაინსივრცეში;
- დისტანციური სწავლება სიახლეა და მცირე პრობლემას ესეც ქმნის;
- საგაკვეთილო დროის სიმცირე;
- სმენის ან მეტყველების უნარის შეფერხების მქონე მოსწავლეები.

აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა კომპიუტერული და ციფრული წიგნიერების უნარი ონლაინგაკვეთილების ჩასატარებლად საკმარისია 811 რესპონდენტის აზრით. თუმცა, გამოკითხული პედაგოგების 16%-ის აზრით, რაც თავისთავად მცირე რაოდენობა არ არის, მოსწავლეების უნარები საკმარისად არ მიიჩნევა ონლაინგაკვეთილის ჩასატარებლად. ამიტომ საინტერესო იყო პედაგოგების მოსაზრება, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების დონე ამაღლდეს. ქვემოთ მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც რესპონდენტთა პასუხებში რამდენჯერმე განმეორდა.

**„საჭიროა მშობელთა მხრიდან ჩართულობის გაზრდა. დაწყებით კლასებში არის პრობლემა, მოსწავლეები მშობლების გარეშე ვერ ერთვებიან გაკვეთილზე, ამიტომ რაღაც ფორმით მშობლების ჩართულობა, მათთვის თიმსის გაცნობის უზრუნველყოფა და ტრენინგების ჩატარება სასარგებლო იქნება. როდესაც მოსწავლეებს მშობლები ეხმარებიან, ჩართულობა უკეთესად გამოსდით."**

**„საჭიროა დამატებითი ინსტრუქციები/ვიდეოინსტრუქციები, მასწავლებელი რომ დაეხმაროს მოსწავლეებს. ბავშვებს ინსტრუქცია სჭირდებათ, როგორ მოიხმარონ ის პლატფორმა, რასაც ვიყენებთ. ონლაინგაკვეთილები რომ ჩაუტარდეთ თიმსის მოხმარების შესახებ. დავალებებს ვერ აგზავნიან, ვერ ხსნიან. შემოსვლა, მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა მარტივად გამოსდით, დანარჩენზე რა გითხრათ."**

**„ისტ უნდა ისწავლებოდეს უფრო ინტენსიურად, სწავლების დაწყებით საფეხურებზე კარგი იქნებოდა ისტ-ის საათების დამატება. ასევე, ისტ-ის გაკვეთილებში რომ შევიტანოთ ონ–ლაინინსტრუმენტებთან მუშაობა. სასურველია, მოსწავლეებს შევასწავლოთ პროგრამები, მაგ. თიმსი.“**

**„მოსწავლეებს არ აქვთ კომპიუტერები, გაკვეთილზე ერთვებიან ტელეფონებით. შესაბამისად, უნარებიც ნაკლებად აქვთ განვითარებული, პირველ რიგში სასურველია მათი უზრუნველყოფა საჭირო ტექნიკით. აგრეთვე, საჭიროა ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა, საგნობრივი ელექტრონული რესურსები ქართულ ენაზე. უფასო ინტერნეტი უნდა იყოს, რომ ბავშვმა ინფორმაცია მოიძიოს თუნდაც მოხმარების ინსტრუქციებზე.“**

**„სასარგებლო იქნებოდა სარეკლამო რგოლები ტელეგაკვეთილებს შორის დისტანციური სწავლების შესახებ მოსწავლეებისათვის. სასურველია, ტელეგაკვეთილები ემთხვეოდეს და მიჰყვებოდეს სასკოლო პროგრამებს.“**

მასწავლებელთა ციფრული წიგნიერების შესახებ შეკითხვას 745 რესპონდენტი პასუხობს, რომ კოლეგა პედაგოგების ციფრული უნარები საკმარისია ონლაინ-გაკვეთილების ჩასატარებლად, ხოლო 241 მიიჩნევს, რომ პედაგოგებს საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნიათ. მათ მოუწიათ საკუთარი პასუხის ახსნა. შეკითხვაზე: „გთხოვთ, გვითხრათ, რა პრობლემების წინაშე დგანან პედაგოგები?“ აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი სირთულე ინტერნეტის პრობლემა და სახლში კომპიუტერის არქონაა.

დიაგრამა N5

**რა სირთულეებს გამოყოფდით დამატებით, რომლის წინაშეც მოსწავლეები დგანან?**




კიდევ ერთი გამოწვევა დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ პედაგოგების უმრავლესობას (501 რესპონდენტის აზრით) ინფორმაცია არ აქვს ონლაინსწავლების მეთოდოლოგიაზე. ამას ემატება უცხოური ენის არცოდნა, რომელიც საქმეს ართულებს, იმიტომ რომ ტექნოლოგიებისა და ონლაინპლატფორმების უმრავლესობაზე წვდომა ინგლისურ ან რუსულ ენებზე აქვთ ქართველ პედაგოგებს.

დიაგრამა N6

**დისტანციური სწავლების დროს მასწავლებლის ძმავარი კომპეტენციებიდან, რომლის ნაკლებობას აბჩნევთ თქვენს სკოლაში?**




კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ქართველი პედაგოგები ძირითადად ტელეფონს იყენებენ ონლაინგაკვეთილებისათვის. ეს არც არის გასაკვირი, მათ

უმრავლესობას სახლში პერსონალური კომპიუტერი არ აქვს. ტელეფონით ჩატარებული გაკვეთილი კი შესაძლოა უფრო დაბალი ხარისხის აღმოჩნდეს, ვიდრე კომპიუტერის გამოყენებით ჩატარებული. გაკვეთილები ძირითადად თიმსის საშუალებით ტარდება, რესპონდენტების 42% იყენებს მას. თუმცა მასწავლებელთა დიდი ნაწილი (45%) ასახელებს ფეისბუქ მესინჯერსაც. უფრო ნაკლებად გამოიყენება ზუმი, სკაიპი, ვაიბერი და ვოთსაფი, რესპონდენტებმა დაასახელეს სხვა პლატფორმებიც, რომელთაგან გამოსაყოფია: ფიდსი, სქულბუქი, ელექტრონული ფოსტა. აღსანიშნავია, რომ ამ შეკითხვაზე პასუხად, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა სატელეფონო ზარი დაასახელა.

**დიაგრამა N7**

**რომელ პლატფორმას იყენებთ ონლაინგაკვეთილების ჩატარების დროს?**




ონლაინ სწავლების დროს პედაგოგების მხარდაჭერისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2020 წლის აპრილიდან სთავაზობდა მათ ელექტრონულ რესურსებს ვებინარების სახით. გამოკითხულთა უმრავლესობა (900 რესპონდენტი) ამბობს, რომ იყენებს მასწავლებლის სახლის ვებგვერდზე გაზიარებულ ელექტრონულ რესურსებს: ვებინარებს, ჟურნალ მასწავლებელს და ვიდეორესურსებს.

**დიაგრამა N8**

**რესურსების გამოყენება**




კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა. პირველ რიგში, დისტანციურ სწავლებას ართულებს ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე შეზღუდული წვდომა.

ასევე, ზოგ შემთხვევაში პრობლემაა ონლაინპლატფორმების გამოყენების კომპეტენციები როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეების მხრიდან. ეს სირთულე განსაკუთრებით იჩენს თავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან, სადაც მშობლების მხრიდან მეტი ჩართულობაა საჭირო.

პედაგოგების მხრიდან დადებითად შეფასდა ონლაინსწავლების დანერგვის პარალელურად გადადგმული შემხვედრი ნაბიჯები, მათ შორის სერვისები და რესურსები, როგორც ონლაინ, ასევე, პირისპირ ფორმატში.

სამომავლოდ, ონლაინსწავლების გავლენის შეფასებისათვის, მნიშვნელოვანი იქნება, ვიკვლიოთ, როგორია მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ასევე, რა მიმართულებით და რა ფორმით სჭირდებათ პედაგოგებსა თუ მოსწავლეებს დახმარება.

# როგორ გავუმკლავდეთ COVID პანდემიის პირობებში შექმნილ რეალობას

ნონა პოპიაშვილი
სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

გასულმა ერთმა წელიწადმა ბევრი რამ განსხვავებულად დაანახა განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და ამ სფეროსთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ ფართო საზოგადოებას. პანდემიამ განსაკუთრებულად დიდი გავლენა იქონია სასკოლო ცხოვრებაზე. სწავლა-სწავლება დისტანციურ, „ეკრანზე დაფუძნებულ“ ქმედებად გარდაიქმნა. შეიცვალა სწავლების ფორმატი, მასწავლებლები მოსწავლეებს ხშირ შემთხვევებში სათანადო მხარდაჭერას ვერ სთავაზობენ, ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე წვდომა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთ ნაწილს, უმეტესწილად, შეზღუდული აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გაჩნდა განცდა, რომ სკოლების უმრავლესობაში სასწავლო პროცესი „დაპაუზებულია“.

სკოლის დირექტორებს პანდემიამდეც უხდებოდათ სხვადასხვა ტიპის სირთულეებთან გამკლავება, თუმცა COVID პანდემიამ სრულიად ახლებური გამოწვევის წინაშე დააყენა საგანმანათლებლო ლიდერებიც. ამ ერთი წლის განმავლობაში ხშირი იყო სკოლების დროებითი დახურვისა და ხელმეორედ გახსნის შემთხვევები, მაშინაც კი, თუ სწავლა ტრადიციულ ფორმატში გრძელდებოდა, აუცილებელი იყო სპეციალურად ამ სიტუაციისათვის შემუშავებული რეგულაციების დაცვა. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტ თავსატეხს უჩენდა სკოლის ლიდერს. იმისათვის, რომ ამ ძნელბედობის ჟამს სკოლამ განაგრძოს წარმატებული ფუნქციონირება, სასწავლო პროცესი შედარებით უხარვეზოდ წარიმართოს, არ გაუარესდეს მოსწავლეთა შედეგები და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუნარჩუნდეთ ფსიქო-ემოციური მდგრადობა, სწორედ სკოლის ლიდერებზე მოდის დიდი პასუხისმგებლობა, მათ უნდა გამოიჩინონ დიდი ძალისხმევა სხვადასხვა მიმართულებით.

ერთსა და იმავე დროს, სკოლის დირექტორებმა უნდა შეძლონ, სათანადო მხარდაჭერა აღმოუჩინონ მასწავლებლებს, სკოლის ყველა თანამშრომელს, მოსწავლეებსა და მშობლებსაც. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის მამოტივირებელი გარემო, საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მათგან მოითხოვს განსაკუთრებულ უნარებს, როგორებიცაა: კომუნიკაბელურობა, კრიზისების მართვა, ემპათიურობა, ინოვაციურობა, პრობლემების გადაჭრა, შემოქმედებითობა.

თუმცა ამ რთულ ვითარებაში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რაზეც სკოლის დირექტორებმა ამ პირობებში განსაკუთრებულად უნდა გაამახვილონ ყურადღება:

ა. მასწავლებლებისათვის სათანადო მხარდაჭერის (როგორც ემოციური, ასევე, პროფესიული კუთხით) უზრუნველყოფა და
ბ. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდა.

**რა ტიპის მხარდაჭერა ესაჭიროებათ მასწავლებლებს ყველაზე მეტად სასკოლო ლიდერების მხრიდან პანდემიის პირობებში?**

**მნიშვნელოვანია მასწავლებლების წარმატებების აღიარება და მათი ძალისხმევის დაფასება. პანდემიით გამოწვეული რთული ვითარება განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა მასწავლებლების სამუშაო დატვირთვაზე. მათ ხშირ შემთხვევაში, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე უწევთ გავლა. დატვირთული დღის რეჟიმი, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გაუმართაობა.... ეს მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემების, რომელთაც მასწავლებლები უნდა გაუმკლავდნენ. ამ პირობებში ისინი სკოლის ლიდერებისაგან მუდმივ მხარდაჭერასა და წახალისებას საჭიროებენ.**

ადამიანების შიში და შფოთვა პანდემიის განუყოფელ თანამგზავრად იქცა.

შექმნილმა ვითარებამ სერიოზული ფსიქოლოგიური დაღი დაასვა ადამიანებს. მუდმივი სტრესი, გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი რეალობა, სასწავლო პროცესში მუდმივი ცვლილებები, ონლაინ და დისტანციური სწავლების თუნდაც საბაზისო პრინციპებზე ინფორმაციის არქონა – ეს ყველაფერი მასწავლებლებში განსაკუთრებულად ზრდის შიშსა და შფოთვის ხარისხს. მასწავლებლები მოწყვლად კატეგორიაში აღმოჩნდნენ. იმისათვის, რომ მათ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, მუდმივად სჭირდებათ სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო ლიდერებისაგან ემოციური მხარდაჭერა. ამ გარემოებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარი გამოსავალი ეფექტური მართვის სტილია. სასკოლო ლიდერმა რეალისტურად უნდა გააცნობიეროს მასწავლებლების პასუხიმგებლობები და ყველა ზომას მიმართოს მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

- უპირველეს ყოვლისა, სკოლის დირექტორს უნდა შეეძლოს მასწავლებელთა „გადაწვის“ ნიშნების დროულად ამოცნობა (გადაღლილობა, ადვილად გაღიზიანება, მუდმივად ცუდი განწყობა, კონცენტრირების გართულება, დავალებების დროულად შესრულების შეუძლებლობა, ინიციატივის ნაკლებობა, საკუთარ თავში რწმენის შესუსტება ან დაუცველობის შეგრძნების გამძაფრება, გახშირებული ავადობა, მოსწავლეების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და მათი მუდმივი კრიტიკა, უმწეობა, მომავლის უპერსპექტივობის განცდა...). რომელიმე ამ ნიშნის ან ნიშნების აღმოჩენისას, აუცილებელია, სკოლის ლიდერმა შეძლოს მასწავლებელთა სოციალურ-ემოციური მხარდაჭერისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა;
- ეფექტურია მასწავლებლებთან ინდივიდუალური საუბრები, რომლის მიზანიც მასწავლებელთა მდგომარეობის განსაზღვრა უნდა იყოს. მასწავლებლების ემოციური კეთილდღეობაა ერთადერთი გარანტი მოსწავლეების ემოციური კეთილდღეობის. ამიტომ, ამ ასპექტს განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს ნებისმიერი დირექტორი;
- გადაწვის სიმპტომების დაფიქსირებისას, საჭიროა ამ პრობლემებზე ღიად საუბარი;
- მასწავლებლების მიმართ წაყენებული მოლოდინები არ უნდა სცილდებოდეს გონივრულობის მასშტაბს და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ჰიბრიდული თუ დისტანციური სწავლების პირობებში მასწავლებლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რას მოელის სკოლა და დირექტორი მათგან. მნიშვნელოვანია, მათ მიმართ დასახული მოლოდინები გაიზარდოს გამოცდილების დაგროვებისა და შესაბამისი ტრენინგების მიხედვით;
- შექმნილი რეალობის ადეკვატური შეფასება და აღიარება უკიდურესად მნიშვნელოვანია ყველა მხარისათვის. მასწავლებლები უნდა ხედავდნენ ერთიანობას ამ სიტუაციაში, ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათი ყოველი დამატებითი ძალისხმევა ფასდება და ნებისმიერი, თუნდაც მცირედი, წარმატება აღიარებულია;
- კარგი ლიდერი მუდმივად ახსენებს მასწავლებლებს, რომ ის მათ ბოლომდე ენდობა და სჯერა მათი. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი პროფესიული ნიშნით შეარჩიეს, თუმცა მათგან სრულყოფილებას არავინ ელის. ამ ახალ რეალობაში წარმოქმნილი ყველა დაბრკოლება კი მხოლოდ შემდგომი პროფესიული ზრდისა და განვითარების წინაპირობაა.
- მასწავლებლებს ნებისმიერი სახის დახმარებისა და კონსულტაციისთვის თამამად უნდა შეეძლოთ, მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას. მნიშვნელოვანია წარმატებული პრაქტიკის გაზიარება როგორც სკოლის შიგნით, ასევე, გარედან. ეფექტური და წარმატებული ლიდერი ყოველთვის ახერხებს, მასწავლებლებს პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაზე გაუხსნას წვდომა.

## » რამდენად მნიშვნელოვანია მშობლების როლი სასწავლო პროცესში, პანდემიის პირობებში?

შექმნილმა კრიზისმა სკოლის დირექტორებს ნათლად დაანახა მშობლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის წახალისებისათვის ახალი გზების ძიების აუცილებლობა.

სკოლების უმრავლესობა პანდემიის პირობებში არსებული რეალობის შესაბამისად ირჩევს სწავლების ფორმატს – ნაწილი ჰიბრიდულ სწავლებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი, იძულებულია, გარკვეული პერიოდით მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდეს. ჰიბრიდულმა თუ სრულად დისტანციური სწავლების რეჟიმმა უფრო ნათლად წარმოაჩინა სკოლასა და მშობლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ეფექტურობა. ბავშვები მეტ დროს ატარებენ სახლში, შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ მშობლებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ საკუთარი შვილების ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის, ასევე, მათი სწავლის მონიტორინგის პროცესში. საჭიროა, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ინფორმაციის რეგულარულად გაცვლა. ამგვარად მათ უკეთ შეეძლებათ საკუთარი შვილების სოციო-ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. თუმცა, სასწავლო პროცესში ონლაინკომპონენტის დიდი დოზით შემოჭრამ მშობლებს ახალი სირთულეები შეუქმნა ამ მიმართულებით. ხშირად ისინიც უმწეოდ გრძნობენ თავს ონლაინსივრცეში. საჭიროა, სკოლის ადმინისტრაციამ გამონახოს გზები ამ პრობლემის დასაძლევად.

რა უნდა გაითვალისწინონ სკოლის ლიდერებმა მშობლებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის წასახალისებლად:

- » მშობლებთან ურთიერთობისათვის, სასურველია, გამოიყენონ იგივე ონლაინპლატფორმა, რომელსაც მოსწავლეებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ (Microsoft Teams, Google Classroom ან სხვა). ასევე, ამ თვალსაზრისით ეფექტურია პოპულარული სოციალური ქსელების გამოყენებაც;
- » სპეციალურად მშობლებისათვის უნდა შეიქმნას მათთვის მარტივად გასაგები დამხმარე ვიდეოტუტორიალები, რაც მათ პლატფორმაზე ნავიგაციას გაუმარტივებს;
- » მშობლებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, მნიშვნელოვანია მათი ნდობის მოპოვება. ამ მიზნით, სკოლის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თუნდაც ხანმოკლე ინდივიდუალური კომუნიკაციის წაალისება ონლაინპლატფორმის, სოციალური ქსელების ან მობილურის საშუალებით. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა ზუსტად იცოდნენ, რა მოლოდინები და სურვილები აქვთ მშობლებს თავიანთ შვილებთან დაკავშირებით. გარდა პერსონალური კომუნიკაციისა, მათ უნდა წაახალისონ მასწავლებლები, რეგულარულად, ორ კვირაში ან თვეში ერთხელ გამართონ საერთო ონლაინშეხვედრა მშობლებთან (მშობელთა ონლაინშეკრებები);
- » სკოლის ლიდერებმა უნდა წაახალისონ მასწავლებლები, რეგულარულად გაუზიარონ მშობლებს სასკოლო სიახლეები და ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. მშობელთა კეთილგანწყობის მოპოვება წინ

**« მიიღეთ და აღიარეთ ცვლილებები, როგორც ნორმალური სიახლე, გახდით უფრო მოქნილები. ამ პროგრამაში, როდესაც პანდემიასთან დაკავშირებით გვერდ პასუხგაუცემელი შეკითხვაა, უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც სკოლა, ისე საზოგადოება, კიდევ კარგა ხანს ვერ დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ „ნორმალურს" ვუწოდებთ. არ ღირს ამ ფაქტთან ბრძოლა და შეწინააღმდეგება, აჯობებს, თავად გავხდეთ უფრო მოქნილები. ნაცვლად იმისა, რომ ვფოკუსირდეთ იმაზე, თუ როგორ გვინდა ძველ რეალობას დაბრუნება, სჯობს, ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ შექმნილი ვითარების ეფექტურ მართვაზე და ყოველთვის ვეძებოთ დადებითი მხარეები, რასაც სკოლის, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სასიკეთოდ გამოვიყენებთ;**

გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია მშობლებისა და სკოლის მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე.

სკოლის ეფექტური მართვა Covid პანდემიის დროს ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს აერთიანებს. თუმცა, ამ პროცესების მართვისას, მთავარი ის არის, რომ არ დავკარგოთ რეალობის შეგრძნება და არ ვებრძოლოთ ახალ რეალობას.

- მიიღეთ და აღიარეთ ცვლილებები, როგორც ნორმალური სიახლე, გახდით უფრო მოქნილები. ამ პირობებში, როდესაც პანდემიასთან დაკავშირებით ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვაა, უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც სკოლა, ისე საზოგადოება, კიდევ კარგა ხანს ვერ დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ „ნორმალურს“ ვუწოდებთ. არ ღირს ამ ფაქტთან ბრძოლა და შეწინააღმდეგება, აჯობებს, თავად გავხდეთ უფრო მოქნილები. ნაცვლად იმისა, რომ ვფოკუსირდეთ იმაზე, თუ როგორ გვინდა ძველ რეალობას დაბრუნება, სჯობს, ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ შექმნილი ვითარების ეფექტურ მართვაზე და ყოველთვის ვეძებოთ დადებითი მხარეები, რასაც სკოლის, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სასიკეთოდ გამოვიყენებთ;
- ხშირი, ღია და გულწრფელი კომუნიკაციაა წარმატების გარანტი. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ უწყვეტი კომუნიკაცია და ურთიერთობებია. ადამიანი სოციალური არსებაა და მისთვის კავშირები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პანდემიის პირობებში სწორედ ურთიერთობების ნაკლებობას უჩივის საზოგადოების დიდი ნაწილი. ყველაზე მტკივნეულად კი ეს რეალობა ახალგაზრდებზე აისახა. სკოლის ეფექტურმა ლიდერმა ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალიზაციისათვის. შექმენით ქსელები, სასკოლო საზოგადოებები, წაახალისეთ სოციალური და სასწავლო პროექტებით სწავლება, როგორც სკოლის შიგნით, ასევე, მის მიღმა, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- იმუშავეთ მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით და არა მათთვის. ნუ შეეცდებით, მიმართოთ ისეთ სცენარებს, რომლებიც პანდემიამდე რეალობის სიმულირებას მოახდენს. თვალი გავუსწოროთ რეალობას, წაახალისეთ მასწავლებლები, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად შეიმუშაონ სწავლა-სწავლების ახალი მეთოდები. ერთად დასახონ მოლოდინები და შექმნან ახლებური სასწავლო გარემო.

# პროექტებით სწავლების გავლენა მოსწავლეთა სოციალურ და აკადემიურ უნარებზე დაწყებით საფეხურზე

**სალომე ცხვედიანი**
განათლების მკვლევარი,
დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი

სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილი **პროექტზე დაფუძნებული სწავლება** (სასწავლო და სოციალური პროექტები) საქართველოს მთავრობამ 2017 წელს შეიტანა „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ დადგენილებაში. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, სქემაში ჩართულმა პედაგოგებმა აქტიურად დაიწყეს პროექტებით სწავლების დანერგვა სასწავლო სივრცეში.

დღეის მდგომარეობით, როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილია, ზოგადი განათლების რეფორმამ – **„ახალი სკოლის მოდელმა“** წინ წამოსწია **კონსტრუქტივისტული მიდგომები**, თეორიის **პრაქტიკაში გამოყენება** და **რეალურ ცხოვრებასთან** კავშირის დამყარება **კომპლექსური დავალებების** საშუალებით. ასევე, **სოლო ტაქსონომიის** გამოყენებით, **განმავითარებელ შეფასებაზე** კიდევ უფრო მეტი აქცენტი. სწორედ ამ ახალი წამოწყების სინთეზს გულისხმობს პროექტებით სწავლებაც, შესაბამისად, საკითხი დღესაც, რეფორმის ჭრილშიც, ისევ აქტუალურია. მით უფრო მაშინ, როდესაც, აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე დისტანციური სწავლების დროს. ამდენად, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გვეკვლია საქართველოს საჯარო სკოლებში **პროექტებით სწავლების გავლენა მოსწავლეთა სოციალურ და აკადემიურ უნარებზე დაწყებით საფეხურზე.**

აღნიშნული კვლევის საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2019-2020 სასწავლო წელს, მაშინ როდესაც ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და საგანმანათლებლო სისტემა სრულად გადავიდა დისტანციური სწავლების მოდელზე. **კვლევის ამ შეზღუდვიდან გამომდინარე**, გამოყენებულ იქნა **რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.** თვითადმინისტრირებული კითხვარები გაიგზავნა მეილზე მიბმული, Google forms-ის კითხვარის საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტი მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ატრიბუტებს, ქცევებსა და განწყობებს. კითხვარები შედგებოდა როგორც ღია, ისე დახურული შეკითხვებისგან.

საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა **დაწყებითი საფეხურის 320 მასწავლებელი** (245 მასწავლებელი საჯარო სკოლიდან; ხოლო 75 – კერძო სკოლიდან.) და **სკოლის დირექციის 32 წარმომადგენელი** (23 რესპონდენტი საჯარო სკოლიდან; 9 – კერძო სკოლიდან).

სოციალურ-დემოგრაფიული კითხვარის კიდევ ერთი კომპონენტი იყო მასწავლებლების **სტატუსის** არჩევა, გამოკითხულთაგან, კვლევის მიმდინარეობისას **191 პედაგოგს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი**, დანარჩენი შედეგის გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაში:




თავდაპირველად, კვლევის შედეგები განხილულ იქნა ცალ-ცალკე, რამაც, მომდევნო ეტაპზე, შესაძლებელი გახადა ორივე ჯგუფის რესპონდენტთა შედეგების შედარება და ერთობლივად განხილვა.

დასაწყისისთვის, განვიხილოთ, **უწყობს თუ არა ხელს პროექტებით სწავლება, საფეხურის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და რა ეფექტი აქვს პროექტებით სწავლებას აკადემიური უნარების განვითარებაზე.**

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა ძალიან მცირე ნაწილი მიიჩნევს პროექტებით სწავლებას **საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისა** და **აკადემიური უნარების განვითარების** საშუალებად, ამ უკანასკნელს კი ეთანხმებიან დირექციის წარმომადგენლებიც, მომდევნო კითხვაში რესპონდენტთა უმრავლესობამ მონიშნა პროექტებით სწავლების საშუალებით განვითარებული აკადემიური უნარები, რომელიც კითხვარში შეტანილ იქნა სწორედ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რესპონდენტთა იმ ნაწილმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ესგ-ით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და აკადემიური უნარების განვითარების საშუალებას არ იძლევა პროექტებით სწავლება, უბრალოდ, ეს პროცესი ვერ დააკავშირა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ აკადემიურ უნარებთან. თუმცა მომდევნო კითხვაში დაკონკრეტების შემდეგ, თავადვე აღნიშნეს;

რაც შეეხება **სოციალურ უნარებს**, ორივე კითხვარის ანალიზიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ პროექტებით სწავლება ავითარებს სოციალურ უნარებს, თუმცა რესპონდენტები არ მიიჩნევენ სოციალური უნარების განვითარებას სოციალური გარემოს გაუმჯობესების წინაპირობად. სოციალური უნარების განვითარება უფრო მეტად მოქალაქობრივი აზროვნების ჩამოყალიბებასთან დააკავშირეს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასეთი აზროვნების ჩამოყალიბება უწყობს ხელს სოციალური გარემოს გაუმჯობესებას. **სოციალური უნარებიდან მათ გამოარჩიეს ჯგუფში მუშაობისა და იდეების გაზიარების უნარები.**

მასწავლებელთა დიაგრამა

პროექტებით სწავლების საშუალებით განვითარებული სოციალური უნარები



### დირექციის წარმომადგენელთა დიაგრამა

**პროექტებით სწავლების საშუალებით განვითარებული სოციალური უნარები**




სოციალური უნარების შემდეგ აუცილებლად უნდა იქნეს განხილული **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება.** აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები სოციალური უნარების განვითარებას მიიჩნევენ პროექტებით სწავლების უპირატესობად და, პარალელურად, დემოკრატიული კულტურის ერთ-ერთი კომპეტენციის, ემპათიის განვითარებას აღნიშნავს მასწავლებელთა და დირექციის წარმომადგენელთა ყველაზე ნაკლები ნაწილი. თავდაჯერებულობა და დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები აირჩია რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა პროექტებით სწავლებას არ/ვერ იყენებს როგორც ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასების, ემპათიისა და კულტურული განსხვავებულობის მიღებისთვის მზაობის ინსტრუმენტს. აქვე შესაძლოა, დამოწმებულ იქნეს, კახეთის რეგიონის დირექციის წარმომადგენლის პასუხი, რომელიც ამბობს, რომ მოსწავლეთა **კონტინგენტის 48% არის აზერბაიჯანელი** და **„პროექტებით სწავლებისას ადვილად ხდება სასკოლო რეჟიმთან შეგუება და სწავლის ხარისხიც მაღალია“**. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სკოლა ეფექტურად იყენებს პროექტებით სწავლებას და ამზადებს მოზარდებს ინტერკულტურულ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, თუმცა მასწავლებელთა უმრავლესობას, შესაძლოა, არ აქვს ინფორმაცია ამ შესაძლებლობის გამოყენების შესახებ და ეს განაპირობებს მათ არჩევანს;

### მასწავლებელთა დიაგრამა

**პროექტებით სწავლების საშუალებით დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება**




### დირექციის წარმომადგენელთა დიაგრამა

**პროექტებით სწავლების საშუალებით დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება**




**სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის** თვალსაზრისით, ორივე კითხვარის ანალიზის შედეგად, დგინდება, რომ კვლევაში მონაწილე სკოლათა **უმეტესობა არ იყენებს პროექტებით სწავლებას მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის ურთიერთთანამშრომლობის** ერთ-ერთ საშუალებად. მათი უმრავლესობა აქცენტს აკეთებს მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლეების თანამშრომლობაზე, რაც, ჩვეულებრივ, ტრადიციულ სასწავლო პროცესშიც მუდმივად მიმდინარეობს. სავარაუდოდ, რესპონდენტებს არ აქვთ ინ-

ფორმაცია, როგორ შეიძლება დაიგეგმოს გუნდური მუშაობის შედეგად ეფექტური პროექტები, გაზიარდეს გამოცდილება, ჩაერთოს მშობელი შვილის სასწავლო პროცესში და ა.შ.

### მასწავლებელთა დიაგრამა

თანამშრომლობა პროექტებით სწავლებისას




### დირექციის წარმომადგენელთა დიაგრამა

თანამშრომლობა პროექტებით სწავლებისას




რაც შეეხება **ხელშეწყობას**, ხელშეწყობის თვალსაზრისით, რეგიონისა და ქალაქის სკოლების უმრავლესობა აღნიშნავს სრულ, ან ნაწილობრივ ხელშეწყობას მაინც. დირექციის წარმომადგენლები აღნიშნავენ პროექტებით სწავლების დადებით გავლენებს სასწავლო პროცესზე.

### მასწავლებელთა დიაგრამა

საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა სკოლის მხრიდან




### დირექციის წარმომადგენელთა დიაგრამა

საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა სკოლის მხრიდან




კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა გარკვეული **დასკვნის გაკეთება.** უნდა აღინიშნოს, რომ მთავარმა ინსტრუმენტმა, კითხვარმა (ორივე შემთხვევაში) შესაძლებელი გახადა ისეთი საკითხების გაგება და ერთმანეთთან დაკავშირება, რაც, ერთი შეხედვით, ვერ აისახება მხოლოდ დიაგრამებში.

**შეჯამების სახით, შესაძლოა ითქვას, რომ:**

1. პროექტებით სწავლება ავითარებს აკადემიურ უნარებს, რადგან პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს აუცილებლად სჭირდებათ კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების, თემატიკიდან გამომდინარე, რაოდენობრივი წიგნიერების უნარები. ამ უნარების, როგორც **საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების**, განვითარებას და გამოვლენის ინდიკატორებს სასწავლო პროცესში თავადაც აღნიშნავენ რესპონდენტები;

2. კითხვარში აღნიშნული **აკადემიური უნარები** არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით, შესაბამისად, თუ აკადემიური უნარების განვითარება **არის შესაძლებელი** პროექტებით სწავლებით, მაშასადამე, საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაც შეუძლიათ მოსწავლეებს;
3. პროექტებით სწავლება **ავითარებს სოციალურ უნარებს**, თუმცა მასწავლებელი წყვეტს, რომელ სოციალურ უნარს განუვითარებს მოსწავლეებს და რა მიმართულებით იმუშავებს კონკრეტულად, იმ პირობებში, როდესაც უმრავლესობა ჯგუფური მუშაობის მეთოდს ირჩევს, მოსწავლეებს აუცილებლად დასჭირდებათ კონფლიქტის გადაჭრის, კომპრომისზე წასვლის, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარების გამომუშავება;
4. პროექტებით სწავლების დროს შესაძლებელია **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება**. თუმცა მასწავლებელთა ნაკლები ნაწილი იყენებს პროექტებით სწავლებას ამ მიზნით. პროექტების განხორციელების დროს აუცილებელია ყურადღების გამახვილება ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასებაზე, კულტურული განსხვავებულობის მიღებისთვის მზაობასა და თანასწორობის დაფასებაზე;
5. სკოლებში პროექტებით სწავლება არ არის ისე დანერგილი, რომ ხელი შეუწყოს **მასწავლებელთა თანამშრომლობას** და მშობელთა ჩართულობის გაზრდას. პროექტებით სწავლების საშუალებით, შესაძლებელია თანამშრომლობის გაღვივებისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა სწორი დაგეგმვის შემთხვევაში. შედეგებით გამოიკვეთა, რომ ასეთი პრაქტიკა უფრო ფიქსირდება კერძო სკოლაში;
6. პროექტებით სწავლება **წახალისებულია** სკოლების უმრავლესობაში დირექციის წარმომადგენელთა მიერ, შესაბამისად, შესაძლებელია მასწავლებლებმა, ერთობლივი მუშაობით, სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე, მისცენ მას ნებისმიერი მიმართულება.

დასკვნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ პედაგოგთა უმრავლესობა ახორციელებს პროექტს, მოსწონს, აღნიშნავს მის მრავალმხრივ შესაძლებლობებს, თუმცა ეს ყველაფერი არ არის სისტემურად დაგეგმილი იმდენად, რომ მათ შეეძლოთ ასეთი სწავლების შედეგებისგან სრული სარგებლის მიღება, როგორც აკადემიური უნარების, ასევე, კონკრეტული სოციალური უნარებისა და დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება.

**კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციებიც:**

- სასურველია, სკოლებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია, როგორ შეიძლება გამოიყენონ პროექტებით სწავლება და დანერგონ ის, როგორც **აკადემიური და სოციალური უნარების განვითარების** შესაძლებლობა (განსაკუთრებით, ემპათიისა და კონფლიქტის გადაჭრის უნარები). ამ ორი ტიპის უნარის პარალელურად განვითარების საშუალებას წარმატებით იძლევა სოციალური და სასწავლო პროექტები;
- ასევე, შესაძლებელია სკოლამ, შიდა სასკოლო სივრცეში, საფეხურების მიხედვით, გაწეროს 6-8 კვირიანი პროექტების გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაძლო აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის ფარგლებში, ჩაატარონ მცირე კვლევა, შესთავაზონ მოსწავლეთა თვითმართველობას მომავალ წელს განსახორციელებელი თემატიკების სავარაუდო ნუსხა და შესაბამისად დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი, მაქსიმალურად მათ ინტერესებზე მორგებით;
- პედაგოგებს აქვთ წვდომა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ თარგმნილ და მომზადებულ არაერთ სასწავლო რესურსზე, როგორიც არის, მაგ. **„ევროპა ჩემს გაკვეთილზე“**. სკოლებს შეუძლიათ, წაახალისონ პედაგოგები, რათა ჩაატარონ ისეთი ტიპის პროექტები, რომლებიც ემყარება **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას**. განსაკუთრებით, ნაშრომში ყველაზე ნაკლებად გამოკვეთილი ადამიანის უფლებების პატივისცემისა და კულტურული განსხვავებულობის მიღების თემატიკას. სემესტრის ბოლოს წაახალისონ პედაგოგი, რომელიც ამ მიმართულებას ყველაზე უკეთ გაართმევს თავს, შემდეგ გაუზიარონ გამოცდილება სხვა სკოლებს და შესთავაზონ იმავე ტიპის კონკურსის ჩატარება;
- სკოლებს შეუძლიათ, შეიტანონ სასკოლო გეგმებში პროექტებით სწავლება, როგორც საფეხურების მიხედვით განსახორციელებელი სასწავლო მეთოდი. გარდა ამისა, შესაძლებელია, სოციალურ ქსელში შეიქმნას ოფიციალური გვერდი, სადაც განთავსდება მასწავლებელთა გუნდის მიერ წარმოდგენილ პროექტთა გეგმა, განხორციელების პროცესი და შედეგი. წახალისდნენ ის მასწავლებლები, რომლებიც უფრო მეტად იაქტიურებენ კოლეგებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. სწორი მიმართულების მიცემის შემთხვევაში, მასწავლებლები დაგეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც მშობლები ხალისით ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში და განსხვავებულ გარემოში მშობლისა და ბავშვის დაახლოებასაც შეუწყობენ ხელს.

**გურამ სულაქველიძე**
დირექტორის მოადგილე,
განათლებისა და კვლევების ცენტრი

# პროექტის მართვა სკოლებში

პროექტების ეფექტიანად მართვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებები, განსაკუთრებით, მაღალი ავტონომიის სკოლები, სადაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ხარისხი მაღალია. თანამედროვე სამყაროში უფროდაუფრო მეტი ინსტიტუცია სავალდებულოს ხდის პროექტების ეფექტიანად მართვას, როგორც ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს (Kerzner, 2013). პროექტის მართვა სკოლებს ეხმარება ისეთი წინააღმდეგობების დაძლევაში, რაც დაკავშირებულია ფინანსების მართვასთან, კურიკულუმის განვითარებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან არსებულ და პოტენციურ თანამშრომლობასთან (Ciobanu, 2013).

პროექტი არის უნიკალური, კომპლექსური და ერთმანეთთან დაკავშირებული თანმიმდევრული აქტივობების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ ერთი მიზანი, ამ მიზნის მიღწევისთვის საჭირო ამოცანები, რომლებიც უნდა დასრულდეს კონკრეტულ დროს, შეზღუდული ბიუტეტისა და რესურსების გათვალისწინებით[1]. პროექტის მართვის ინსტიტუტმა გამოყო პროექტისთვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები:

ა) პროექტის არის დროებითი, რაც იმას ნიშნავს, რომ აქვს დასაწყისი და დასასრული. შესაბამისად, მასში განსაზღვრულია საჭირო რესურსები და მოქმედების არეალი; ბ) ის არ არის რუტინული პროცესი, არამედ წარმოადგენს სპეციფიკური ოპერაციების ერთობლიობას მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. პროექტის გუნდი შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გუნდის წევრებს სხვადასხვა ორგანიზაციიდან. კომპლექსური პროექტების მაგალითებია: პროექტი კურიკულუმისა და შესაბამისი რესურსების განვითარება-დანერგვისთვის, საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეებში უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად, ინსტიტუციური განვითარების

პროექტი, როგორც სკოლის დირექტორის საგანმანათლებლო პოლიტიკის მართვის სტრატეგიული ინსტრუმენტი.

ნებისმიერი პროექტის დაწყებისას აუცილებელია პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს: რას გვინდა რომ მივაღწიოთ? როდის უნდა დაიწყოს პროექტი? **რა გვჭირდება? შეგვიძლია ვმართოთ სხვების დახმარების გარეშე? რა დრო დასჭირდება პროექტს მიზნის მისაღწევად? რა თანხა გვჭირდება პროექტის განსახორციელებლად?**

პროექტი ვერ იქნება წარმატებული, თუ: რესურსები და აქტივობები არ შეესაბამება ერთმანეთს; დაინტერესებულ მხარეებს შორის არსებობს არასაკმარისი კომუნიკაცია; პროექტის ღირებულება და ხანგრძლივობა არასწორადაა შეფასებული; არასაკმარისად გაზომვადი კრიტერიუმებია გამოყენებული; მიზანთან შეუსაბამო შედეგები გამოწვეულია არასაკმარისი მონიტორინგის არასაკმარისი ხარისხით.

ყველა პროექტს გააჩნია სიცოცხლის ციკლი, რომელიც შედგება 5 ფაზისგან: 1) ინიცირება 2) დაგეგმვა 3) განხორციელება 4) მონიტორინგი 5) დასრულება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

» ინიცირების ფაზაზე პროექტის ლიდერი მის გუნდთან ერთად იწყებს პრობლემის იდენტიფიცირებას და აყალიბებს მიზანს, შესაბამისი ამოცანებით და მისაღწევი შედეგებით. იმისათვის, რომ წარმატებულად განვახორციელოთ პროექტი, პირველ რიგში, საჭიროა **მიზნის განსაზღვრა**. ამისათვის Corporate Planning for Washington Water Power Company-ის დირექტორმა და შემდგომში კონსულტანტმა ჯორჯ დორანმა მიზნის ჩამოსაყალიბებლად თავის ნაშრომში საზოგადოებას წარუდგინა S.M.A.R.T. ინსტრუმენტი:

| S | M | A | R | T |
|---|---|---|---|---|
| მიზანი უნდა იყოს კონკრეტული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მიაღწევთ სასურველ შედეგს. კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება დაგეხმარებათ, ზუსტად განსაზღვროთ, რისი მიღწევა გსურთ. | გაზომვადი მიზანი დაგეხმარებათ პროგრესისა და მიღწეული შედეგის სწორად შეფასებაში. | მიზანი აუცილებლად უნდა იყოს მიღწევადი. ეს დაგეხმარებათ, სწორად შეაფასოთ ის წინააღმდეგობები და ბარიერები, რომლებიც პროექტის მართვის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას. | რეალისტური მიზანი დაგეხმარებათ, დაადგინოთ საჭირო და სასურველი რესურსები. | ყველა მიზანს აქვს განსაზღვრული დრო. სამიზნე თარიღი დაგეხმარებათ, არ ასცდეთ პროექტის ფოკუსს. |

» დაგეგმვის ფაზა გულისხმობს პროექტის გეგმის შედგენას, რაც წარმოადგენს შემდეგი ორი ფაზის განხორციელების სახელმძღვანელოს. პროექტის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტთან, რისკებთან, რესურსებთან და პროექტის ვადებთან. ამ ფაზაზე მნიშვნელოვანია, პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს: ვინ ახორციელებს პროექტს? რას უნდა მიაღწიოს პროექტმა? სად ხორციელდება ის? როგორ და როდის ხორციელდება პროექტი? უნდა აღინიშნოს, რომ დონორ ორგანიზაციას შეიძლება შემუშავებული ჰქონდეს ინდივიდუალური სააპლიკაციო ფორმა. უმჯობესია, პროექტის გეგმაც მასზე დაყრდნობით შემუშავდეს. არსებობენ დონორი ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის განმცხადებლებს არ აქცევენ ჩარჩოებში და სთავაზობენ თავისუფლებას, თავად შეიმუშაონ საპროექტო განაცხადის ფორმები. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საპროექტო განაცხადის შემდეგი კომპონენტები: **პროექტის დასახელება;** პრობლემის აღწერა, სადაც ჩამოაყალიბებთ პრობლემას და ისაუბრებთ მის აქტუალურობაზე; **პროექტის მიზანი და ამოცანები** პრობლემის არსის გათვალისწინებით; **პროექტის მოკლე აღწერა**

და აქტივობები, სადაც დეტალურად აღნიშნავთ ყველა იმ ღონისძიებას, დროში გაწერილს შესაბამისი რესურსებით, რომელიც მიზნის მისაღწევადაა აუცილებელი; **პროექტის სამიზნე ჯგუფი და ბენეფიციარები.** სამიზნე ჯგუფი შეიძლება იყოს შუალედური რგოლი პროექტის მენეჯმენტსა და საბოლოო ბენეფიციარს შორის, მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს გაივლის არის ბენეფიციარი, ხოლო სკოლა სამიზნე ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში იღებს სარგებელს; **პარტნიორ(ებ)ი** შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს პროექტის სხვადასხვა ეტაპზე. ზოგჯერ აუცილებელია პარტნიორი პირის თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობისთვის; **მოსალოდნელი შედეგები** – ეს არის კომპონენტი, სადაც დეტლურად წერთ მოსალოდნელ შუალედურ და საბოლოო შედეგებს პროექტის ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით; **რისკები** – მნიშვნელოვანია დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვროს და სწორად შეფასდეს მოსალოდნელი რისკები, რათა მატივად გავუმკლავდეთ განხორციელებისას წარმოქნილ წინააღმდეგობებს. მაგალითად, პანდემია დღემდე არის რისკი შეხვედრების პირისპირ ჩატარებისთვის, თუმცა მისი გადაჭრა მარტივად შეიძლება ონლაინშეხვედრების ორგანიზებით; **ინდიკატორები და მონიტორინგის გეგმა** – ინდიკატორი არის რაოდენობრივი ან თვისებრივი მაჩვენებელი, რომელიც ზომავს მიღწეულ შედეგს. მაგალითად, დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობა არის რაოდენობრივი ინდიკატორი, ხოლო თვისებრივი მაჩვენებლი შეიძლება იყოს ის ცოდნა ან/და უნარი, რომელიც ტრენინგის გავლის შემდეგ მასწავლებელმა შეიძინა.

- **განხორციელების** ფაზაზე პროექტის გუნდი პროექტის გეგმის მიხედვით გაწერილ ყველა აქტივობას ზედმიწევნით მიჰყვება და დგამს შესაბამის ნაბიჯებს მათ განსახორციელებლად.
- **მონიტორინგის** ფაზა გულისხმობს პროგრესისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგს, რომელიც მიმდინარეობს განხორციელების ფაზის პარალელურად. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის (დრო, ხარჯი და მასშტაბი) წინაშე დგებიან პროექტის გუნდის წევრები. აღნიშნული ფაზის მიზანია, შემუშავდეს მკაცრად გაწერილი მექანიზმები, რომლებიც ზემოაღნიშნულ სამ კომპონენტს შეისწავლის.

## მონიტორინგის გეგმის ნიმუში[2]

| N | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | ინდიკატორი | წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიზანი | იმ მე-6 კლასელების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აგრძელებენ სწავლას საბაზო საფეხურზე | 50% | 60% | დაწყებითი და საბაზო განათლების მოსწავლეების აღრიცხვის რეესტრი | ყოველ წელს | დირექტორის მოადგილე |
| მყისიერი შედეგი | მოსწავლეების რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს კითხვის საზაფხულო ბანაკი | 0 | 500 | საზაფხულო სკოლაში დასწრების ჟურნალი | ყოველი საზაფხულო ბანაკის დასრულების შემდეგ | მასწავლებელი |
| გრძელვადიანი შედეგი | კითხვის უნარი მე-6 კლასელ მოსწავლეებში | საშუალო ქულა: 47 | საშუალო ქულა: 57 | კითხვის უნარის შესაფასებელი ტესტი | ყოველი საზაფხულო ბანაკის დასრულების შემდეგ | მასწავლებელი |

» **გოლოდ, დასრულების,** ფაზაზე პროექტის ხელმძღვანელი მიღწეულ შედეგებს წარუდგენს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში წარმოდგენილმა შედეგებმა შეიძლება წარმოშვას ახალი პრობლემები, რაც პროექტის ციკლის თავიდან დაწყებას შეიძლება გულისხმობდეს. ამის განსახორციელებლად კი პროექტის გუნდი ისევ განსაზღვრავს პროექტის მიზანს S.M.A.R.T ინსტრუმენტის გამოყენებით, გაწერს ამოცანებს, შეაფასებს არსებულ და საჭირო რესურსებს, განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიასა და ბენეფიციარებს, შეადგენს პოტენციური პარტნიორი და შესაბამისი დონორი ორგანიზაციების რეესტრს, ასევე, პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმებს საბოლოო მიზნის მისაღწევად და შესაბამისი აუდიტორიისთვის წარსადგენად.


### ბიბლიოგრაფია

1 Effective Project Management: Traditional, Agile, Extreme, Hybrid, Eigth Edition, Robert K. Wysocki, John Wiley & Sons, Inc., 2019

2 https://www.tools4dev.org/resources/me-framework-template/

# eTWINNING-ის ევროპული პლატფორმა სკოლებისათვის

ხატია მატკავა
eTWINNINGPLUS-ის მენეჯერი საქართველოში,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

## რა არის eTWINNING-ის პროგრამა?

"eTwinning"-ი წარმოადგენს ევროკომისიის ინიციატივას, რომელიც ევროპისა და მისი მეზობელი ქვეყნების სკოლების თანამშრომლობის ხელშესაწყობად შექმნილი ონლაინპლატფორმაა, სადაც მასწავლებლებს ევროპის 44 ქვეყნიდან შეუძლიათ საერთო პროექტების დაგეგმვა/განხორციელება, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და მოსწავლეებთან ერთად თანამშრომლობა. პროგრამა მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ და გაიზიარონ საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება. https://youtu.be/DEymCXSFunQ

"eTwinning"-ის მთავარი მიზანია სკოლების არაფორმალური დამეგობრება, ის შექმნილია იმისთვის, რომ შემოგთავაზოთ მოქნილი მიდგომა ერთობლივი სასკოლო საქმიანობისათვის და აქვს ხარისხისა და მხარდაჭერის უნიკალური სტრუქტურა, რომელსაც სთავაზობს ყველა საფეხურის მასწავლებელს.

"eTwinning"-ში რეგისტრირებულ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, დაამყარონ პარტნიორობა და დაგეგმონ ერთობლივი, სასკოლო პროექტები ნებისმიერ საგანში, სადაც ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ ითანამშრომლონ ევროპის სხვა ქვეყნების მასწავლებლებთან. "eTwinning"-ის მთავარი სამუშაო სივრცეა პორტალი www.etwinning.net, რომელიც ფუნქციონირებს 30 ენაზე და მათ შორისაა ქართულიც. პორტალის მნიშნელოვანი ნაწილის ქართულად თარგმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით განხორციელდა. https://www.etwinning.net/ka/pub/etwinning-plus.htm

ევროკომისიის სახელით, ითვინინგის პორტალის www.etwinning.net ფუნქციონირებასა და მართვაზე პასუხისმგებელია ევროპის სქულნეთი, რომელიც წარმოდგენილია ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურის (CSS) სახით. პორტალი არის კარგად შემუშავებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უსაფრთხო ონლაინ-სივრცე, რომელიც მასწავლებლებს სთავაზობს მთელ რიგ საშუალებებს პროექტებზე მუშაობის გასამარტივებლად. პორტალის ფუნქციური თვისებების გარდა, მასზე განთავსებულია, ასევე, ითვინინგის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ახალი ამბები, რაც ეხმარება მასწავლებლებს მუშაობის პროცესში.

ეროვნულ დონეზე "eTwinning"-ის პროექტის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელია ეროვნული მხარდამჭერი სააგენტო (NSS/PSA), რომელსაც, საქართველოს შემთხვევაში, წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მზარდმა და აქტიურმა საზოგადოებამ განაპირობა "eTwinning"-ის 16 წლიანი წარმატება. პროექტის იდეა დაიბადა 2005 წელს ევროკავშირის ელექტრონული სწავ-

ლების პროგრამის ფარგლებში, ხოლო 2007 წლიდან მისი ინტეგრირება მოხდა Lifelong Learning სწავლის პროგრამაში. დღეისათვის „eTwinning"-ი ხორციელდება Erasmus + - ის ქვეშ, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის პროგრამას განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდებისა და სპორტის სფეროში.

სიმარტივიდან გამომდინარე, eTwinning წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას ევროპულ განათლებაში. უფრო და უფრო მეტი მასწავლებელი ერთვება ევროპულ პროექტებში ითვინინგის პროგრამის ფარგლებში. თუ 2005 წელს პროგარმაში რეგისტრირებული იყო 13000 მასწავლებელი, ხოლო 2008-2013 წლებში – 50000, დღევანდელი მონაცემებით, პორტალზე რეგისტრირებულია **937 507 მასწავლებელი, 217 799 სკოლიდან და პორტალზე განხორციელებულია 122 116 პროექტი.**

პროგრამა eTwinningPlus საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოდან პორტალზე რეგისტრირებულია **2 000 მასწავლებელი 1 100 სკოლიდან და ამ წლების განმავლობაში პორტალზე განხორციელდა 3 839 პროექტი.**

## >> რას მოიცავს eTWINNING-ის პორტალი?

eTwinning Live – ადგილი, სადაც პედაგოგებს შეუძლიათ სხვა რეგისტრირებული ითვინერებისა და სკოლების მოძიება, მათთან დაკავშირება და მათი საქმიანობისთვის თვალის დევნება.

ონლაინკურსები – პორტალზე ყოველდღიურად მიმდინარეობს ვებინარები, მოკლე, ინტენსიური და სახალისო კურსები, რომლებიც მასწავლებლებს სთავაზობს თემებს, იდეების სტიმულირებისათვის და უნარების განვითარებისთვის.

eTwinning-ის ჯგუფები – ვირტუალური ადგილები, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, განიხილონ და ითანამშრომლონ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით. eTwinning ჯგუფების მიზანია პრაქტიკული მაგალითების გაზიარება, სწავლა-სწავლების მეთოდების განხილვა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. თემები სხვადასხვაა, მაგალითად, ენის სწავლება, მეწარმეობა განათლებაში, STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, საინჟინრო სფერო და მათემატიკა) და სხვ. სულ არსებობს ასეთი 14 ჯგუფი. მასწავლებელს შეუძლია, შეარჩიოს მისთვის საინტერესო და გაწევრიანდეს.

TwinSpace – უსაფრთხო ადგილი მხოლოდ პროექტში მონაწილე პედაგოგებისთვის. ასევე, შესაძლებელია მოსწავლეების მოწვევა TwinSpace-ში, რათა პროექტის ფარგლებში შეხვდნენ და ითანამშრომლონ თანატოლებთან. სწორედ თვინსფეისზე არის განთავსებული განხორციელებული პროექტები.

პროექტების გალერეა – საუკეთესო პრაქტიკის საგანგებოდ შერჩეული მაგალითები, რომლებიც ემსახურება შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურებას.
https://www.etwinning.net/en/pub/get-inspired/kits.cfm

## >> ვის და როგორ შეუძლია eTWINNING-ის პორტალზე გაწევრიანება?

eTwinning-ის ქსელში გაწევრიანება შეუძლია როგორც საჯარო, ასევე, კერძო სკოლას, რომელიც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს ოფიციალურად წარმოადგენს. ქსელში გასაწევრიანებლად საკმარისია სკოლიდან ერთი მასწავლებელი დარეგისტრირდეს პორტალზე, რაც გულისხმობს სკოლის რეგისტრაციასაც. რეგისტრაცია მარტივია, ამისათვის დაინტერესებული პირი უნდა ეწვიოს მთავარ პორტალს www.etwinning.net და ნახოს მარჯვენა კუთხეში არსებული ჩანართი **შესვლა ან რეგისტრაცია** და შეავსოს ყველა მოთხოვნილი ველი.

## >> რატომ უნდა შეუერთდე „eTWINNING"-ს?

- ვისწავლოთ, განვვითარდეთ პროფესიულად;
- გავეცნოთ სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- განვივითაროთ 21-ე საუკუნის უნარები;
- თვალი ვადევნოთ მიმდინარე სიახლეებს;

- გავხდეთ ციფრული სამყაროს სრულფასოვანი წევრები;
- მივიღოთ საერთაშორისო აღიარება და დაფასება;
- ვიმოგზაუროთ და შევიძინოთ მეგობრები.

## რა გზა უნდა გაიაროს მასწავლებელმა, რომ გახდეს eTWINNING ოჯახის წევრი?

### დარეგისტრირდი

უფასოდ დარეგისტრირდი პორტალზე www.etwinning.net

### მოძებნე

მოძებნე რომელიმე ქვეყნიდან პარტნიორი და გამონახეთ საერთო ინტერესები.

### მოიფიქრე

პარტნიორთან ერთად იფიქრე პროექტის იდეაზე, მოარგე ეროვნულ სასწავლო გეგმას.

### დაარეგისტრირე პროექტი

გაიზიარეთ საერთაშორისო გამოცდილება და იფიქრეთ პროექტის ონლაინ ინსტრუმენტებით გამდიდრებაზე.

### გააკეთე განცხადი

გადადგით შესაბამისი ნაბიჯები ეროვნული და საერთაშორისო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად.

### განვითარდი პროფესიულად

პროგრამის მეშვეობით, შეიძინეთ ახალი პროფესიული უნარები. მონაწილეობა მიიღეთ ეროვნულ




და საერთაშორისო სემინარებში, ვებინარებსა და კონფერენციებში. გაიარეთ შესაბამისი ტრენინგები პროექტების მართვასა და ისტ-ის უნარების განვითარებისთვის.

### იმოგზაურე

მოიპოვეთ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე მონაწილეობის უფლება პროექტის დახმარებით.

## რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროექტი, რომ მიენიჭოს ევროპისა და ეროვნული ხარისხის ნიშანი?

ითვინინგის პროგრამას გამოარჩევს უამრავი ჯილდოც, რისი მიღების საშუალებაც ეძლევათ მასწავლებლებსა და სკოლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ითვინინგის მთავარი საქმიანობა პროექტებია, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობას ასე ნაყოფიერს ხდის. მასწავლებლები ერთმანეთისგან სწავლობენ განსხვავებული გზით, ხოლო მოსწავლეები იწყებენ შეხვედრებს მათი ასაკის სხვა ბავშვებთან. საპროექტო სამუშაოს თავად პროექტის წევრები ადგენენ, რაც ნიშნავს, რომ ყოველგვარი აქტივობის ვადა და სიმარტივე (ან სირთულე!) თვით მონაწილეებზეა დამოკიდებული. პროექტზე მუშაობის დროს ხარისხი ყოველთვის მნიშვნელოვანია. არსებობს ხარისხის ნიშანი (QL), რომელიც გაიცემა ითვინინგის პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს პროფესიონალიზმისა და ხარისხის მიხედვით. ხარისხის ნიშნის მოპოვების პროცესი მარტივია: სკოლებს შეაქვთ განაცხადი ჯილდოზე თავიანთი ქვეყნების ეროვნული მხარდაჭერის სამსახურებში და შემდეგ ეროვნული მხარდაჭერის სამსახური აფასებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს. როდესაც პროექტის მონაწილე, მინიმუმ, ორი სკოლა მიიღებს ეროვნულ ხარისხის ნიშანს, მათ ეძლევათ საშუალება, გახდნენ ევროპის ხარისხის ნიშნის მფლობელები, რაც უზრუნველყოფს მათი ნამუშევრის მაქსიმალურ თვალსაჩინოებას პორტალზე და პედაგოგებს აძლევს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილ სემინარებსა და კონფერენციებში (საქართველოდან ყოველწლიურად 20-მდე მასწავლებელს ეძლევა მსგავსი შესაძლებლობა).

საქართველოს სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ხარისხის ნიშნის მქონდე პროექტების რაოდენობა მზარდია, თუ **2015 წელს 16 პროექტს მიენიჭა ეროვნული ხარისხის ნიშანი, 2020 წელს ეს რაოდენობა 64-მდე გაიზარდა.**

ითვინინგის დადებითი მხარე გახლავთ ის, რომ გეძლევათ ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება ისე, რომ არ შეუშინდეთ შედეგებს, თუ სამუშაო ისე არ წარიმართება, როგორც დაგეგმილი იყო. ითვინინგის პროექტის განხორციელების შემდეგ მიიღებთ თავდაჯერებულობასა და გამოცდილებას, რაც დაგეხმარებათ სხვა პროექტების განხორციელებაში, ალბათ, უკვე სხვა პარტნიორებთან ერთად. ითვინინგში არ არის შეზღუდვები. "eTwinning" პროექტები შეიძლება გაგრძელდეს როგორც ერთი კვირის განმავლობაში, ისე – თვეების. ასევე, არ ხართ შეზღუდული პარტნიორების რაოდენობაში, შეგიძლიათ გყავდეთ ერთი ან რამდენიმე პარტნიორი.

თუმცა აღსანიშნავია რომ უდიდესი გამოწვევაა პარტნიორი მასწავლებლის პოვნა, რომელიც გახსნილია ახალი იდეებისათვის და მზადაა, დრო დახარჯოს პროექტის აქტივობებზე მთელი წლის განმავლობაში. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერებთან მუშაობის შესაძლებლობა სკოლაში და, სასურველია, ამის შესაძლებლობა ჰქონდეთ სახლშიც.

## » როგორ გავხდეთ eTWINNING-ის სკოლა?

"eTwinning"-ის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს გამო აღიარების მოპოვება კარგად დანერგილ პრაქტიკას წარმოადგენს და მას საფუძველი ჩაეყარა 2005 წელს, როგორც ეროვნულ, ასევე, ევროპის დონეზე, პროექტის განხორციელებისთვის მასწავლებლებისათვის ხარისხის ნიშნის მინიჭებით. მოგვიანებით, "eTwinning"-მა მასწავლებლის ინდივიდუალურად აღიარებიდან გუნდის აღიარებაზე გადაინაცვლა და გაჩნდა **eTwinning-ის სკოლის ნიშანი.**

სკოლის ნიშნის მიღება კონკურსში გამარჯვებას არ ნიშნავს, იგი უფრო პროცესის დასაწყისია: "eTwinning"-ის სკოლები „გამარჯვებულ" სკოლებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი "eTwinning"-ში ჩართული სხვა სკოლებისთვის მაგალითის მიმცემი ლიდერები არიან.

სკოლები eTwinning-ში ჯილდოვდებიან ერთგულებისა და ჩართულობისათვის, რაც ხელს უწყობს eTwinning–ის ინტეგრირებას სკოლის პოლიტიკაში, პრაქტიკასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში. eTwinning-ის სკოლები აღიარებულნი არიან ლიდერებად ევროპულ დონეზე, როგორც სკოლები, რომლებიც ეძებენ სკოლის განვითარების ახალ შესაძლებლობებს.

"eTwinning"-ის სკოლის მისიაში, რომელიც გასული ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ყურადღება გამახვილებულია ერთობლივი ხელმძღვანელობის მნიშვნელობაზე და მოსწავლეების ცვლილებების აგენტებად წარმოჩენაზე, „რომლებიც არიან პედაგოგიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით ინოვაციების ინიციატორებიც და, ამავე დროს, წარმოადგენენ რგოლს, რომელზეც ყველაზე მკვეთრად აისახება აღნიშნული ინოვაციები თუ ცვლილებები".

საქართველოში 15 სკოლას აქვს მინიჭებული eTwinning-ის სკოლის ნიშანი. იმისათვის, რომ სკოლას მიენიჭოს eTwinning-ის სკოლის ტიტული, აუცილებელია, რომ სკოლა eTwinning-ში იყოს რეგისტრირებული, მინიმუმ, 2 წელი, სკოლიდან სულ ცოტა 2 მასწავლებელი აქტიურად იყოს ჩართული eTwinning-ის სხვადასხვა აქტივობებში (ტრენინგები, პროფესიული განვითარების სემეინარები) და ჰქონდეთ პროექტი, რომელსაც მინიჭებული აქვს ევროპის ხარისხის ნიშანი. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, სკოლას ეძლევა შესაძლებლობა, სპეციალურად მომზადებული აპლიკაციის შევსებით აჩვენოს თავისი მიღწევები, რომელსაც განიხილავს კომისია.

**"eTwinning"-ში მონაწილეობით თქვენს სკოლას შეეძლება:**

- » გაამდიდროს სასწავლო გარემო და აამაღლოს მოსწავლეთა მოტივაცია;
- » ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის მზა რესურსებზე;
- » აამაღლოს სტანდარტი მთელს სასკოლო საზოგადოებაში;
- » მოიპოვოს აღიარება „eTwinning" ჯილდოებისა და საერთაშორისო სკოლის ჯილდოს საშუალებით;
- » მონაწილეობა მიიღოს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად დაგეგმილ „eTwinning"-ის სკოლების კონფერენციაზე.

## » რა სარგებელი მოაქვს „eTWINNING"-ს მოსწავლისთვის მასწავლებლისთვის / სკოლისთვის ?

„eTwinning"-ი მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას ეყრდნობა და ხელს უწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნისათვის საჭირო უნარების განვითარებას, როგორებიცაა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარები.

**მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამაში მონაწილეობისას მოსწავლეთათვის** სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და იზრდება მათი მოტივაცია, მოსწავლეები ივითარებენ ენობრივ კომპეტენციებსა და ისტ-ის უნარებს და იძენენ მეგობრებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

2019 წელს "eTwinning"-ის ცენტრალური მხარდამჭერი სამსახურის მიერ (CSS), რომელსაც წარმოადგენს ევროპის სქულნეტი, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში.

eTwinning-ის მონიტორინგის ანგარიში ქვეყნდება ორ წელიწადში ერთხელ და ასახავს eTwinning-ის მნიშვნელოვან მიღწევებსა და, ასევე, სფეროებს, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს; ანგარიში ეყრდნობა "eTwinning"-ის მონაწილეთა ფართო მასშტაბური გამოკითხვის ანალიზს.

**მოცემული ანგარიში ცხადყოფს და ადასტურებს eTwinning-ის დადებით ზემოქმედებას, არა მხოლოდ სწავლება-სწავლისა და, ზოგადად, განათლების სფეროზე, არამედ უფრო ღრმა და ფართო დონეზე, როგორიცაა, საკუთარი იდენტობისა და თვითმყოფადობის გრძნობის განვითარება, საკუთარი შესაძლებლობებისადმი ნდობის ამაღლება და მოქალაქეობის გრძნობის გაზრდა, როგორც ეროვნულ, ასევე, ევროპულ დონეზე.**

ანგარიშის მიხედვით, გამოკითხულთა 92% მიიჩნევს, რომ eTwinning-ში მონაწილეობა მათი მოსწავლეების მოტივაციას ზრდის, ასევე, მასწავლებელთა თითქმის იგივე რაოდენობა თანხმდება, რომ „eTwinning"-ი ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, 90% აღნიშნავს, რომ „eTwinning"-ის პროექტებში ჩართულობა ამაღლებს მოსწავლეთა ინტერესს ტექნოლოგიების მიმართ.

გამოკითხულთა 90% აღნიშნავს, რომ eTwinning-ში მონაწილეობა ხელს უწყობს პროექტზე დაფუძნებული სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, 87% მიიჩნევს, რომ ხელს უწყობს ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების სწავლებას, 85% თანამშრომლობითი უნარების

განვითარებას სხვა საგნების მასწავლებლებთან მუშაობისას, 84% აღნიშნავს, რომ ეხმარება სწავლების სწორი სტრატეგიის არჩევაში.

ალბათ გასაკვირი არ არის, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლებისათვის საჭირო უნარები აღინიშნა, რადგან მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა სწორედ პროექტზე მუშაობას ემყარება. ითვინინგის პროექტები ითვინინგის ბირთვს წარმოადგენს. ერთობლივი მუშაობის მეშვეობით, მოსწავლეები ეცნობიან სხვა ახალგაზრდებს ევროპის, სულ ცოტა, ერთ ქვეყანაში მაინც, სწავლობენ ერთად და პოულობენ მსგავსებებსა თუ განსხვავებებს.

**"eTwinning"–ის დახმარებით, მოსწავლეებს შეუძლიათ, გაიგონ ტექნოლოგიის ხასიათი და გამოყენონ ის ინფორმაციის სწორად მოსაძიებლად.**

„eTwinning"-ის მასწავლებლები არ მუშაობენ იზოლირებულად, ისინი მუშაობენ კოლეგების ჯგუფებთან ერთად, საერთო მიზნის მისაღწევად, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა განათლება. „eTwinning"-ში მონაწილეობა გავლენას ახდენს მთლიანად სკოლის მუშაობაზე. გამოკითხვის მონაწილეებს სთხოვეს, შეეფასებინათ „eTwinning"– ის გავლენა სკოლის საქმიანობაზე. მათ აღნიშნეს, რომ "eTwinning"-ში ჩართულობა ხელს უწყობს ურთიერთობების გაუმჯობესებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის (83%), თანამშრომლობას მასწავლებლებს შორის (81%), სხვისი ინტერესების გაზიარებას (78%), პერსონალის ცნობიერების ამაღლებას ინტერნეტის უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით გამოყენებაზე (77%), მოქალაქეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას (77%), ინტერესის ზრდას ევროპულ პროექტებში მონაწილეობაზე (73%).

2018 წლის მონიტორინგის კვლევის შედეგების შესწავლისას, შეიძლება ითქვას, რომ eTwinning არის მასწავლებლებისა და სკოლების ცვლილებების რეალური კატალიზატორი.

eTwinning-ის აქტივობების მიზანია, მხარდაჭერა გამოუცხადოს მასწავლებლებს, რომელთაც სურთ, შეცვალონ პრაქტიკა, გამოსცადონ ახალი იდეები, განივითარონ კომპეტენციები და იმუშაონ გუნდთან ერთად.

**ვრცლად ანგარიში:**
https://www.etwinning.net/downloads/etwinning_in_an_era_of_change_EN.pdf

როგორც ვხედავთ, eTwinning-ის შესაძლებლობები მრავალმხრივია. ის შეიძლება გამოყენებულ იყოს:

- როგორც ონლაინრესურსი იდეისა და ინსპირაციის მისაღებად;
- როგორც ქსელისა და საზოგადოების ფორმირების ინსტრუმენტი;
- როგორც პარტნიორების საძიებო სივრცე საერთაშორისო პროექტებისთვის;
- როგორც თანამშრომლობითი პლატფორმა მოსწავლეებისთვის პროექტებზე სამუშაოდ;
- როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Developing pupil competences through eTwinning, 2014
2. eTwinning Monitoring Report 2019 Luxembourg: Publications Office of the European Union, 2019
3. My eTwinning cookbook – 50 recipes for school collaboration and professional development in Europe, 2012
4. www.etwinning.net

**დენის ღურღუმია**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

# ინტერესთა კონფლიქტი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს, რომელთა თავიდან არიდება/აღმოფხვრა წარმოადგენს კანონმდებლის იმპერატიულ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ განმარტავს ტერმინს – „ინტერესთა კონფლიქტი“, ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული ნორმების ანალიზით, შესაძლებელია მისი არსის განსაზღვრა. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელობით, ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით ტერმინს – „ინტერესთა შეუთავსებლობა“, შესაბამისად, საინტერესოა იმის ანალიზიც, თუ როგორაა განმარტებული ეს უკანასკნელი. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მასზე მითითებას შეიცავს არაერთი აქტი, მათ შორის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი), „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა“ გულისხმობს საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირებას საჯარო დაწესებულების ინტერესებთან.

გასათვალისწინებელია, რომ რისკების არსებობა არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად უნდა რეალიზდეს და საფრთხეს სწორედ ეს წარმოადგენს. შესაძლებელია, ყველაზე ნეგატიური პროგნოზი არ გამართლდეს, თუმცა, აუცილებელია, რომ რისკის საფრთხე მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული. მაგალითად, თუ სკოლის დირექტორი თანამდებობაზე დანიშნავს პირს, რომელთანაც მას კანონით აქვს ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა, კონკრეტულ ვითარებაში ამ კონფლიქტის წარმოშობის საფუძველმა ობიექტურად არ მოახდინოს გავლენა დირექტორის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, თუმცა ეს არ გამორიცხავს სხვა შემთხვევაში სხვა დირექტორის მიერ არაობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, გარე ობიექტური დამკვირვებლის მხრიდან დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (თუნდაც ობიექტური), არ იქნება

უზრუნველყოფილი სანდოობის მაღალი ხარისხით. სანდოობა და საზოგადოებრივი აღქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ საჯარო სკოლა ფუნქციონირებს სახელმწიფო სახსრებით, რომლის ფორმირების უმთავრეს წყაროს გადასახადები წარმოადგენს.

## განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა:

N – საჯარო სკოლის დირექტორმა სკოლის ბუღალტრის თანამდებობაზე დანიშნა მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, მეუღლის დეიდა. მიუხედავად იმისა, რომ, დირექტორის მოსაზრებით, აღნიშნული პირი არ წარმოადგენს მის ნათესავს, მიღებული საკადრო გადაწყვეტილების მეტი ლეგიტიმაციისთვის, მაინც პერსონალურად მიმართა სკოლის პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების თავმჯდომარეებს და მიიღო უშუალოდ მათგან თანხმობა.

მოცემულ შემთხვევაში, N– საჯარო სკოლის დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და შემდგომ ქმედებებს აქვს სამართლებრივი ნაკლოვანება, კერძოდ:

ა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხ. 36), საჯარო სკოლის დირექტორსა და მის ახლო ნათესავს შორის შრომითი ხელშეკრულების დასადებად, სავალდებულოა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. ამასთან, კანონი არ განმარტავს ახლო ნათესავის

» სანდოობა და საზოგადოებრივი აღქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ საჯარო სკოლა ფუნქციონირებს სახელმწიფო სახსრებით, რომლის ფორმირების უმთავრეს წყაროს გადასახადები წარმოადგენს.

ცნებას, თუმცა აღნიშნავს, რომ მისი მიზნებისთვის ახლო ნათესავში იგულისხმება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხ. 4) განსაზღვრული პირი. შესაბამისი ჩანაწერით, ახლო ნათესავში იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე, მშობლისა და შვილის გერები. მოცემული შემთხვევისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის წევრის განმარტება, რომლის თანახმად, ოჯახის წევრად ითვლება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო გაგებით შესაძლოა მეუღლის დეიდა არ წარმოადგენს ახლო ნათესავს, კანონის მიზნებისთვის, ის მიიჩნევა ახლო ნათესავად, როგორც ოჯახის წევრი.

3. რაც შეეხება თანხმობის მიღებას უშუალოდ სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეებისგან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ან ამავე საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს, თანხმობას სკოლის დირექტორის მიერ თავის ახლო ნათესავთან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად. შესაბამისად, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი შედეგი. ასევე, პრობლემური იყო თანხმობის მიღება პერსონალურად სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისგან, მიუხედავად იმისა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს თანხმობის მიღებას იმ კოლეგიური ორგანოსგან, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. კერძოდ, კანონი საბჭოს თავმჯდომარეს განუსაზღვრავს მისი ხელმღვანელობის, სხდომის მოწვევის/წარმართვის, სკოლის დირექტორთან ურთიერთობაში საბჭოს წარმომადგენლობის უფლებამოსილებებს, თუმცა სამეურვეო საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებით, ხმათა საჭირო რაოდენობით, რასაც ვერ ჩაანაცვლებს პერსონალურად თავმჯდომარე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, დირექტორმა სამეურვეო საბჭოს სახელით თანხმობა მიღებულად ჩათვალოს სამეურვეო საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს, მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადგენილი წესით გაცნობის მომენტიდან.

3. მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის მიერ, ასევე, არ იქნა გათვალისწინებული ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართება: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი წესით, სკოლის დირექტორს ანიჭებს უფლებას, ახლო ნათესავთან დადოს შრომითი ხელშეკრულება, სამეურვეო საბჭოს თანხმობით. თუმცა იგივე კანონი ამ საერთო წესიდან ადგენს გამონაკლისებს, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ თანამდებობებთან. კერძოდ, კანონის თანახმად, საჯარო სკოლის დირექციის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლი ადგენს, რომ სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერიისაგან. რადგან ბუღალტერი დირექციის წევრია, ისევე, როგორც დირექტორი, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები და აღნიშნული ქმედება ვერ ჩაითვლება სამართლებრივად გამართულად, მიუხედავად კანონის ზოგადი ჩანაწერისა, რომ დირექტორს შეუძლია ახლო ნათესავთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

# სასკოლო პროექტი „დედამიწის მცველები“

### პროექტის მიზნები

- მოსწავლეებში ეკოლოგიური წიგნიერების კომპეტენციის განვითარება;
- კლიმატის ცვლილების გარემოზე მოქმედების გაცნობიერება; ეკოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავება;
- მოსწავლეებში ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;
- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება.

### პროექტის ხანგრძლივობა:

შვიდი თვე.

### პროექტის მოკლე აღწერა:

პროექტი „დედამიწის მცველები“ განხორციელდა საქართველოს **19 სკოლის 20 მასწავლებლისა და 123 მოსწავლის** მიერ. იგი მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ეკოლოგიური წიგნიერების, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებას.

წარდგენილ პროექტში ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ უყალიბდებათ მოსწავლეებს გარემოსადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, როგორ აცნობიერებენ პირად პასუხისმგებლობას გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ და როგორ იღებენ მონაწილეობას მის დაცვასა და აღდგენაში.

**პარტნიორი სკოლების გაცნობა-დამეგობრების მიზნით**, მოსწავლეებისთვის პროექტის ფარგლებში მომზადდა საპრეზენტაციო მასალები სხვადასხვა პროგრამაში, კერძოდ, Microsoft Word, PowerPoint, Google Docs, Google Forms, Google Slides, esri.com, fliphtml5.com, Google My Maps, Biteable.com , genial.ly, Flipgrid.com, padlet.com, blogger.com, facebook.com, canva.com, kahoot.com, wakelet.com, renderforest.com, footprintcalculator.org, OneNote, storyjumper.com, ourboox.com, emaze.com, artsteps.com, wheelofnames.com

შეიქმნა პროექტის ვებგვერდი, პროექტის ბლოგი, პროგრამა Teams-ში ჯგუფები: 1) მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებისთვის და 2) ორგანიზებული ღონისძიებებისთვის. ასევე, შეიქმნა Facebook ჯგუფიც. პროექტის მასალები ეტაპობრივად ქვეყნდებოდა Twinspace-ზე, ბლოგზე და Facebook-ის ჯგუფში „დედამიწის მცველები“.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე პროექტში მონაწილე მოსწავლეებისა და მასწავლებლების გაცნობის მიზნით, ჩატარდა გაცნობითი აქტივობა სპეციალურად შექმნილი კითხვარების საშუალებით. გამოყენებული იყო პროგრამები: Flipgrid და Padlet.

### პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

**ლოგოს შექმნა/კონკურსი** – მოსწავლეებმა წარმოადგინეს 81 ლოგო. შეირჩა 13 ფინალური ვერსია. გამარჯვებული ლოგო გამოვლინდა ხმის მიცემით, ინსტრუმენტ wheelofnames.com-ის გამოყენებით.

### პროექტის ინიციატორი:

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის დაგა ჟინვალის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი
**ირმა ღანიაშვილი**

### პროექტის თანაავტორები:

**ინგა ხუციშვილი**
შპს ჯორჯია განათლების ცენტრი "ცსც"

**ხათუნა ასანიძე**
სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბნის საჯარო სკოლა

**ქეთევან გოგალაძე**
სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის დ. კაკიაშვილის სახ. N2 საჯარო სკოლა

**ქეთევან ავალიშვილი**
სსიპ თბილისის N180 საჯარო სკოლა;

**რუსუდან გორგაძე**
სსიპ თბილისის N167 საჯარო სკოლა

**ნონა პაკუნაშვილი**
სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაღრაანის საჯარო სკოლა

**მანანა როსტომაშვილი**
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწმინდის საჯარო სკოლა

**მანანა გაძრაძე**
სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის N124 საჯარო სკოლა

**ლელა ჯღარბაია**
სსიპ ქალაქ ჯვრის საჯარო სკოლა

**ირმა ვერძეული**
დუშეთის N2 საჯარო სკოლა

**ეკა კოზიაშვილი**
სსიპ თელავის N6 საჯარო სკოლა

**ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები** – პროექტის მიმდინარეობისას, მუდმივად იგეგმებოდა და ტარებოდა სამუშაო შეხვედრები ჩართულ პედაგოგებს შორის. პანდემიის გამო შემქნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეხვედრები იმართებოდა eTwinninLive, MS Teams-ის დახმარებით. ერთ-ერთ შეხვედრას ერქვა ასე: ვითამაშოთ Kahoot-ი. დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა, სადაც მასწავლებლებმა kahoot-ის გამოყენებასთან დაკავშირებით გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება. ფორუმზე შექმნეს დისკუსია, სადაც თამაშისთვის საჭირო კითხვებიც განთავსდა. კითხვების საკმაო რაოდენობის მოგროვების შემდეგ პედაგოგებმა მოსწავლეებისთვის შექმნეს ტესტი და ითამაშეს. მოსწავლეებში ამ აქტივობამ დიდი ხალისი და მოწონება დაიმსახურა.

**გაეროს მდგრადი განვითარების მე-13 მიზნის გაცნობა** – გაიმართა შეხვედრა გეოგრაფიის ექსპერტთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პროექტში არაჩართული მოსწავლეებიც.

**ინფორმაციის მოძიება კლიმატის ცვლილების შესახებ** – მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შესახებ, მოამზა-



დეს და წარმოადგინეს პრეზენტაციები სკოლაში გამართულ კონფერენციაზე. კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სიგელი.

ეკოლოგიური ნაკვალევის კალკულატორი – footprintcalculator.org- ის გამოყენებით, მოსწავლეებმა გაზომეს საკუთარი ეკოლოგიური ნაკვალევი, რათა შეეფასებინათ ბუნებრივ რესურსზე ადამიანის დამოკიდებულება, გაეანგარიშებინათ, თუ რა რაოდენობის გარემოა საჭირო კონკრეტული ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად.

წყალი და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე – 22 მარტი მსოფლიო წყლის დღე – აქტივობის შესასრულებლად მოსწავლეებმა მოამზადეს ბუკლეტი, ჩაატარეს საუბრები თანასკოლელებთან და თემის წარმომადგენლებთან. გადასცეს თავიანთი მომზადებული ბუკლეტები.




**კვირეულის ფარგლებში მოეწყო გარემოს დასუფთავება და გამწვანების აქცია „დედამიწა ჩემი სახლია“** – მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დაასუფთავეს სკოლის გარემო, დარგეს მცენარეები, ჩაატარეს მასტერკლასები და გაუზიარეს ერთ-

მანეთს გამოცდილება მცენარეების დარგვასთან, გამრავლებასთან, დაკალმებასთან, მეორადი ნივთების გამოყენებათან, ვაზის გასხვლასთან, მცენარეთა სახეობებზე და მათ მოვლასთან დაკავშირებით. მაღრაანის საჯარო სკოლამ დაცული ტერიტორიებიდან უთხოვარის უიშვიათეს ხეებზე მოამზადა ვიდეომასალა.

**შეხვედრა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პირველ მფლობელთან** – გაიმართა შეხვედრა ბატონ ლადო აფხაზავასთან. მან პროექტში მონაწილე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გააცნო საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა.

**დედამიწის დღე - 22 აპრილი** – ინტერნეტსივრცეში პროექტის მონაწილეებმა მოიძიეს დედამიწის დღესთან დაკავშირებით მომზადებული ლოგო, ამობეჭდეს და მოსწავლეებს დაურიგეს. გაიმართა ფილმის ჩვენება „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა". მოსწავლეებმა მოამზადეს პოსტერები, საინფორმაციო ბროშურები და გაავრცელეს სკოლაში. გამწვანეს სკოლის ეზო – დარგეს მცენარეები. დაითესა მიკრო-მწვანილი, ინოვაციური ჯანსაღი პროდუქტი.

**კლიმატის საერთაშორისო დღე - 15 მაისი (გამოფენის მოწყობა)** – ამ დღესთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა შეასრულეს ნახატები, სადაც გადმოცემული იყო აქტუალური პრობლემა, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა, რაც იწვევს კლიმატის გაუარესებას. მოსწავლეებმა საკუთარ ნახატებში გამოსახეს პრობლემის მოგვარების გზები. მოსწავლეთა ნახატების გამოყენებით შეიქმნა ერთობლივი პროდუქტი. კერძოდ, მოსწავლეთა ნამუშევრები საგამოფენო გალერეაში განთავსდა. მოეწყო მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატების ვირტუალური გამოფენა emaze.com ინსტრუმენტის გამოყენებით (ბმული).

**ბიოგრავალფეროვნების მსოფლიო დღე - 22 მაისი (პოსტერების გამოფენა)** – მოსწავლეებმა საგამოფენო დარბაზისთვის მოამზადეს პოსტერი. პროგრამა artsteps.com-ის გამოყენებით, შეიქმნა ვირტუალური პოსტერების გამოფენა (ბმული).

**პროექტის შეფასება** – პროექტის შესაფასების მიზნით, შეიქმნა სამი Padlet-ის დაფა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის, სადაც შეფასდა პროექტი.

**პროექტის შეჯამება** – გაიმართა პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა. მოსწავლეებმა მოამზადეს საპრეზენტაციო მასალა და წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები.

**პროექტის საბოლოო პროდუქტი:**

ვებგვერდი: https://bit.ly/3uOYWBi

ბლოგი: https://bit.ly/3vOX8d4

# დაგვიკავშირდით

## მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

## გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

## ჩვენ შევეცდებით, არც ერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE

**პანდემიამ აჩვენა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა განათლებაში თანაბარი შესაძლებლობები რეალობად იქცეს მათთვის, ვისაც არახელსაყრელი პირობები აქვს; ამასთან ერთად, გამოჩნდა, რომ განათლებას აქვს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის პოტენციალი.**